ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხატია კურცხალია

ცხინვალის რეგიონის რეტროსპექტივა კარტოგრაფიული და დემოგრაფიული წყაროების მიხედვით (XX-XXIსს)

სამაგისტრო პროგრამა: გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება

ნაშრომი შესრულებულია გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი დალი ნიკოლაიშვილი

თბილისი, 2019

ანოტაცია

ცხინვალის რეგიონის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც დგას თანამედროვე საქართველოს წინაშე. დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარება ართულებს ცხინვალის რეგიონის შესწავლის შესაძლებლობას. მრავალი წლის მანძილზე შექმნილი ვითარების გამო იგი მიუწვდომელი გახდა სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისითაც. ეს ითქმის ბუნებათსარგებლობასა და გარემოს დაცვაზე, დემოგრაფიულ ვითარებაზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და სხვ.

კვლევა მოიცავს ცხინვალის რეგიონის რეტროსპექტიული სურათის შექმნას კარტოგრაფიული და დემოგრაფიული წყაროების მიხედვით. რეგიონი, რომელიც მოიცავს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, არაკონტროლირებადია და 1990-იანი წლებიდან მოყოლებული სეპარატისტული ძალების მიერ გამოცხადებულია დამოუკიდებელ რესპუბლიკად, თუმცა მას არ სცნობს საერთაშორისო საზოგადოება.

კარტოგრაფიული და სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, კვლევის შედეგად დადგინდა ადმინისტრაციული მოწყობის ტრანსფორმაციები, განხორ-ციელდა სხვადასხვა პერიოდისა და მასშტაბის კარტოგრაფიული წყაროების ანალიზი, კოსმოსური სურათების მეშვეობით გამოვლინდა განსახლების არეალების ცვლილებები უკანასკნელ პერიოდში და შედგა რიგი თემატური რუკები.

Annotation

Problem of Tskhinvali region is one of the most important challenge which Georgia faces today. Possibility of analyzing ongoing circumstances in Tskhinvali is hindered by complex geopolitical situation. Because of these problems, during years region became inaccessible for conducting scientific research.It encompasses fields such as environmental protection, demography, socio-economic development,etc.

This research refers to creation of retrospective picture of Tskhinvali region based on cartographic and demographic sources. Region, which covers territories of former South Ossetian Autonomous Oblast is not controlled by Georgian government and since 1990s it is declared as an independent republic by the separatist forces, however it is not recognized by international society.

Based on cartographic and legal documents, research has stated following conclusions: transformations of administrative arrangement, analysis of different period and scale's cartographic sources. Furthermore, changes of resettlement area in the recent period was revealed based on the cosmic pictures, thus several thematic maps were created.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. კომპლექსურ-გეოგრაფიული მიმოხილვა 8

1.1.ტერიტორია და საზღვრები 8

1.2.რელიეფი და გეოლოგიური აგებულება 11

1.3.კლიმატი 13

1.4.შიდა წყლები 15

1.5.ნიადაგ-მცენარეული საფარი 17

1.6.ძირითადი ლანდშაფტები 23

1.7.მოსახლეობა 30

1.8.მეურნეობა 34

თავი II. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დემოგრაფიული ვითარების ცვლილებები 38

2.1. ადმინისტრაციული მოწყობა ძველ საქართველოში 38

2.2.ადმინისტრაციული მოწყობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში 45

2.3.თანამედროვე ადმინისტრაციული მოწყობა 52

2.4.მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ცვლილებები 57

2.5.მოსახლეობის დინამიკა საყოველთაო აღწერების მიხედვით 59

თავი III. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციის და „მცოცავი ოკუპაციის“ კარტოგრაფირება 69

3.1. კარტოგრაფიული წყაროების ანალიზი 69

3.2. კოსმოსური სურათების ანალიზის შედეგები 77

3.3. „მცოცავი ოკუპაციის“ შედეგები 82

დასკვნა 91

გამოყენებული ლიტერატურა 93

შესავალი

აქტუალობა. ცხინვალის რეგიონის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწ-ვევაა, რომელიც დგას თანამედროვე საქართველოს წინაშე. 2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომლის მიხედვითაც მას ოკუპირებული ტერიტორიის სტატუსი მიენიჭა. კანონის მიზანია განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად და დაადგინოს ამ ტერიტორი-ების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი [მუხლი 1].

რეგიონი, რომელიც მოიცავს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიას, არაკონტროლირებადია და 1990-იანი წლებიდან მოყოლებული სეპარა-ტისტული ძალების მიერ გამოცხადებულია დამოუკიდებელ რესპუბლიკად, თუმცა მას არ სცნობს საერთაშორისო საზოგადოება.

დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარება ართულებს ცხინვალის რეგიონის შესწავლის შესაძლებლობას. მრავალი წლის მანძილზე შექმნილი ვითარების გამო იგი მიუწვდომელი გახდა სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისითაც. ეს ითქმის ბუნებათ-სარგებლობასა და გარემოს დაცვაზე, დემოგრაფიულ ვითარებაზე, რეგიონის სოცი-ალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და სხვ.

გარდა ამისა, ცხინვალის რეგიონი ნაკლებად არის შესწავლილი ძველი კარტოგრა-ფიული წყაროების მიხედვით. მასზე მოცემული ინფორმაცია კი მეტად მნიშვნელო-ვანი პირველწყაროა, რომელიც დაგვეხმარება რეგიონის რეტროსპექტიული სურათის შექმნის თვალსაზრისით. სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის გარდა, მნიშვნელოვანია დემოგრაფიული წყაროებისა და კოსმოსური სურათების ანალიზიც, რომელთა ურთიერთშედარებით შესაძლებელია დადგინდეს განსალხებისა და რიგი დემოგრაფიული მაჩენებლების დინამიკა, „მცოცავი ოკუპაციის“ შედეგები და სხვ.

ცხინვალის რეგიონი, იგივე ისტორიული სამაჩაბლო, მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულის, შიდა

ქართლის ტერიტორიაზე. მისი ფართობი 3.8 ათ.კმ²-ია და იყოფა 4 ადმინისტრაციულ რაიონად : ახალგორის, ზნაურის, ცხინვალისა და ჯავის.რეგიონის საზღვარი დღესაც სადაოა „მცოცავი ოკუპაციის“ გამო.

პოლიტიკური ვითარების ხშირი ცვლილება საზღვრის ჩამოყალიბებაზე მნიშვნ-ელოვან გავლენას ახდენს. ცხინვალის რეგიონი საქართველოს არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში ტრანსფორმაციის რეჟიმში იმყოფებოდა და დღესაც ასეა. საქართველოს ისტორიული რუკის ანალიზმა აჩვენა, რომ რეგიონის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მდინარე არდონის ხეობაზე გადიოდა, რის შედეგადაც ცხინვალის რეგიონი მთლიანად და ისტორიული კუთხე დვალეთი საქართველოს ტერიტორიის შემადგენელი ნაწილებია. სახელმწიფო საზღვრის „ცხინვალის რეგიონი“ ტრანსფორმაცია ინტენსიურ სახეს XX საუკუნეში იღებს, მაშინ როდესაც საქართველოს სსრ შემადგენლობაში (1922 წელს) შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში კომპაქტურად მცხოვრები ოსების ეთნიკურ-პოლიტიკური ავტონომიური ტერიტორიული ერთეული (ოლქი) შეიქმნა, ხოლო მოგვიანებით 1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. 1992 წელს ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის (მათ შორის ე.წ. სამშვიდობო ძალების) ხელშეწყობით ოსი სეპარატისტების კონტროლს ქვეშ აღმოჩნდა რეგიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი: ცხინვალის რაიონის ძირითადი ნაწილი, ჯავის რაიონი და ზნაურის რაიონი. მოგვიანებით 2008 წელს ოსი სეპარატისტებისა და რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ დაკავებული იქნა ცხინვალის რეგიონის 100-ზე მეტი სოფელი.

საბოლოოდ, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ არის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა და მდებარეობს საერთაშორისოდ აღიარებულ საქართველოს ტერიტო-რიაზე. ავტონომიური ოლქის მნიშვნელოვან ნაწილს 17 წელია დე ფაქტოდ აკონტრო-ლებს და 2008 წლის 26 აგვისტოს, ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ დე-იურედ ცნო,

თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობა არ ცნობს რეგიონის დამოუკიდებლობას და დე იურე მიიჩნევა საქართველოს რეგიონის შიდა ქართლის ნაწილად.

კვლევის მიზანია ცხინვალის რეგიონის რეტროსპექტიული სურათის შექმნა კარტოგრაფიული და დემოგრაფიული წყაროების მიხედვით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახულია 3 ამოცანა: 1) ცხინვალის რეგიონის კომპლექსურ-გეოგრაფიული ანალიზი, 2) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დემოგრაფიული ვითარების ცვლილების კარტოგრაფირება და საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციის და 3) „მცოცავი ოკუპაციის“ კარტოგრაფირება.

ცხინვალის რეგიონის შესახებ არსებობს რიგი სამეცნიერო ნაშრომები, სადაც წარმოჩენილია საკვლევი ობიექტის ბუნება და ბუნებრივი რესურსები, დემოგრაფიული ვითარება, ეკონომიკა, ისტორია, კულტურის ძეგლები, თუმცა ჯერ კიდევ რჩება საკითხთა კომპლექსი (განსაკუთრებით უკანასკნელი პერიოდის), რომელიც სათანადოდ შესწავლილი არ არის. დღემდე არ განხორციელებულა ისტორიულ ჭრილში „მცოცავი საზღვრის“ კარტოგრაფირება.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, 3 თავს, დასკვნასა და ლიტერატურის სიას. იგი შესრულებულია 95 გვერდზე. ნაშრომს თან ერთვის 23 რუკა, 2 დიაგრამა 10კოსმოსური სურათი და 8 ცხრილი.

თავი I. კომპლექსურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

1.1.ტერიტორია და საზღვრები

ცხინვალის რეგიონი, იგივე ისტორიული სამაჩაბლო, მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე. საბჭოთა პერიოდში მის ტერიტორიაზე არსებობდა სამხრეთ-ოსეთის ავტრონომიური ოლქი (აო). თუმცა ამ ორი ტერიტორიის ცხინვალის რეგიონთან ცალსახა გაიგივება არ შეიძლება.

საქართველოს კონსტიტუციაში [24/08/1995] გამოიყენება ტოპონიმი „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ და აქ საერთოდ არ არის ნახსენები „ცხინვალის რეგიონი“ (არც 2018 წლის 23.03 მარტის ცვლილებებით). სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში კი გამოიყენება ან მხოლოდ „ცხინვალის რეგიონი“, ან ორივე ერთად: „ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)“. აქ კითხვა ისმის იმის თაობაზე, თუ რა ტერიტორია იგულისმხება კონსტიტუციასა და სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებში ცხინვალის რეგიონის ქვეშ: ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო 1991/1992 წლებამდელი მდგომარეობით, თუ მის შემდგომი მდგომარეობით, როცა მოხდა აო-ის ტერიტორიული ცვლილებები. ლოგიკურად, უკანასკნელი მდგომარეობა უნდა მოიაზრებოდეს, თუმცა ვითარება ასე ცალსახა როდია. ოფიციალურ დოკუმენტებში ცხინვალის რეგიონის კონტექსტში მოხსენიებულია ის ტერიტორიებიც, რომლებიც 1991/1992 წლების შემდგომ არ შედიოდა ყოფ. სამხრეთ ოსეთის აო-ის შემადგენლობაში (ნახ.1.1).

მაგალითისათვის მოვიყვანთ საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებსაიტს, სადაც „სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის“ ადმინისტრაციულ ერთეულებად დასახელებულია 4 რაიონი: ახალგორის, ზნაურის, ცხინვალისა და ჯავის [საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი]. ე.ი. აქ მხოლოდ 1991 წლის ცვლილებებია გათვალისწინებული. არის მეორე უზუსტობაც: აო-ს ფართობად მითითებულია 3,8 ათ. კმ^2, ანუ იმ მდგომარეობით, რომელიც 1991 წლამდე არსებობდა. სწორედ

ასეთი უზუსტობები იწვევს გაუგებრობებს და ტოპონიმ „ცხინვალის რეგიონს“ ერთგვარ პირობით სახეს ანიჭებს.



ნახ. 1.1. საქართველოს თანამედროვე მუნიციპალიტეტები
ყოფ. სამხრეთ ოსეთის აო-ს ტერიტორიის ფარგლებში

როგორც აღვნიშნეთ, ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე საბჭოთა წლებში არსებობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (1922 წლის 20 აპრილიდან 1990 წლის 11 დეკემბრამდე პერიოდში). ამ დროს მის შემადგენლობაში შედიოდა 4 ადმინისტრაციულ რაიონი: ახალგორის, ზნაურის, ცხინვალისა და ჯავის.

1991 წელს სამხრეთ ოსეთის აო-ს შემადგენლობაში შემავალი ჯავის რაიონის ტერიტორიის ნაწილი (კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოები, ფართობით 36 კმ^2), შეუერთდა ონის მუნიციპალიტეტს, ხოლო სინაგურის სასოფლო საბჭოს ზოგიერთი სოფელი (ზემო ქარზმანი, თედელეთი, სინაგური, ტბეთი, ქვემო ქარზმანი, ხახეთი და ჯალაბეთი, ფართობით 204 კმ^2) _ საჩხერის რაიონს [საქართველოს რესპუბლიკის კანონი... 1991].

1992 წლიდან კი ცვლილებები განხორციელდა ახალგორის მუნიციპალიტეტის (ყოფ. ლენინგორის რაიონი, ფართობით 1.011 ათ. კმ²) ტერიორიულ მიკუთვნებულობის თვალსაზრისითაც და იგი ცალკე ადმინისტრაციული ერთეულად ჩამოყალიბდა.

ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ 1991-1992 წლამდე არსებულ მდგომარეობას, მაშინ ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-სა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორია იდენტური გამოვა (3,8 ათ. კმ²). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ 1991-1992 წლებში განხორციელებულ ცვლილებებს, მაშინ ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო უფრო მეტი ფართობის ტერიტორიად უნდა მოიაზრებოდეს, ვიდრე ცხინვალის რეგიონია. კერძოდ, საბჭოთა პერიოდში ყოფ. სამხრეთ ოსეთის აო-ის ფართობი (3,8 ათ.კმ²) შემცირდა ჯერ 3,56 ათ.კმ²-მდე (1991 წლიდან), შემდეგ 2,549 ათ.კმ²-მდე (1992 წლიდან).

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო, ჩვენს წინაშეც დადგა საკითხი, ზუსტად რა ტერიტორია უნდა მიგვეჩნია ცხინვალის რეგიონად. კომპლექსურად ვითვალისწინებთ რა რეგიონში არსებული ვითარებას, სადაც საქართველოს იურისდიქციის დეფაქტო ვერ ხორციელდება სწორედ ყოფილი სამხრეთ ოსეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც 1991 წლამდე არსებობდა, კვლევის ობიექტად სწორედ ეს ტერიტორია მივიჩნიეთ. ამ ხედვით ცხინვალის რეგიონის ფართობია 3,8 ათასი კმ² (საქართველოს ტერიტორიის 5,4 %), ხოლო ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ცხინვალი. თუმცა ამით არ გვაქვს არანაირი პრეტენზია ტოპონიმ „ცხინვალის რეგიონის“ ტერიტორიულ მომცველობასთან დაკავშირებით.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად ცხინვალის რეგიონს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანია (შედის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოკრუგში, დედაქალაქი _ ვლადიკავკაზი.), ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულები: დასავლეთით _ ონისა და საჩხერის, სამხრეთიდან _ ხაშურის, ქარელის, გორის და კასპის, ხოლო აღმოსავლეთიდან _ დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები.

მისი ჩრდილოეთი საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფზე, ხოლო აღმოსავლეთი საზღვარი _ ალევის (ლომის ალევის) ქედის თხემს მიუყვება. სამხრეთი

საზღვარი _ შიდა ქართლის ვაკის ჩრდილოეთ პერიფერიას. დასავლეთი საზღვარი გასდევს ლიხის ქედის თხემს, კვეთს რაჭისა და შოდა-კედელას ქედებს, მდინარეების ყვირილის, ძირულის, ჯეჯორისა და ღარულის ხეობებს, გასდევს მდ. ჭანჭახის ხეობას, კვეთს შოვი-მამისონის უღელტეხილის დამაკავშირებელ საავტომობილო გზას და აღწევს მ. ჭანჭახამდე (ზ.დ. 4461,5 მ). შემდეგ საზღვარი მკვეთრად უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით და აღწევს მამისონის უღელტეხილამდე (ზ.დ. 2820,1 მ). საზღვარი მიუყვება მდინარეების _ რიონის და არდონის აუზების წყალგამყოფს, სადაც მდებარეობს მწვერვალები: ბუბუხოხი, კოზიხოხი და სხვ.

1.2.რელიეფი და გეოლოგიური აგებულება

ცხინვალის რეგიონი მთიანი ქვეყანაა. აქ დომინირებს მაღალმთიანი (ჩრდილოეთით) და საშუალომთიანი (სამხრეთით) რელიეფი. მაღალმთიანი რელიეფი კავკასიონის წყალგამყოფ ქედს და მის რამდენიმე განშტოებას მოიცავს. აქ კავკასიონის მთავარი ქედი, მის სხვა ნაწილებთან შედარებით, დაბალია და ზ.დ. 4 000 მ-ზე დაბლა მდებარეობს. რეგიონის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში მთების სიმაღლე მერყეობს ზ.დ. 2 000 მ-ის ფარგლებში, ხოლო შიდა ქართლის ვაკის გასწვრივ მდებარე ზოგიერთი წყალგამყოფი ქედი კი ზ.დ. 1 000 მ-ს აღწევს.

რეგიონის მთავარი ოროგრაფიული ერთეულია კავკასიონის ქედი, რომლის საშუალო აბსოლუტური სიმაღლე რეგიონის ფარგლებში დაახლოებით ზ.დ. 3100 მეტრია. რეგიონის უმაღლესი წერტილია კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარე მწვერვალი ჭანჭახი(4461,5მ),უდაბლესი წერტილი (690 მ) მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე-ახალგორის რაიონში. ზ.დ. 3000 მეტრს აღემატება მწვერვალები: ხალაწა(3941 მ), ლაღწითი (3892მ), ზილგახოხი (3853 მ),ზეკარი (3833 მ) კოზიხოხი (3684 მ), ვაციკფარსი (3565) და სხვა.



ნახ. 1.2. საქართველოს ფიზიკური რუკა (ფრაგმენტი)

კავკასიონის ქედი მკვეთრადაა დანაწევრებული. მისი ყველაზე მაღალი ნაწილები წარმოდგენილია თხემებით, რომლებთათვისაც დამახასიათებელია კლდოვანი მწვერვალები. ამ ზონაში გავრცელებულია რელიეფის მყინვარული ფორმები. ადგილი აქვს თანამედროვე გამყინვარებას. მხარის ოროგრაფიული სახის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთული განშტოებანი რაჭის, ლიხის, კუდაროს, გუდისის, ხარულის, ლომის-ალევის და სხვა ქედების სახით. ისინი ძირითადად მერედიანული მიმართულებისაა და მათ შორის მიედინება რეგიონის მთავარი მდინარეები.

მაღალმთიანი ზონის რელიეფის მკვეთრი დაქანება, ზედაპირის ამგებელ ქანთა ნაპრალიანობა და ფიქლების შემცველობა ხელს უწყობს თოვლის ზვავების წარმოქმნას. რეგიონში ბევრგან გვხვდება მეწყრები. მათი მოქმედება განსაკუთრებით ძლიერია დიდი ლიახვის ხეობაში. მაღალმთიან ზონაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყელის ვულკანურ ზეგანს, რომელიც მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის, თეთრი არაგვისა და ქსნის სათავეთა შორის, დაახლოებით ზ.დ. 3100 მეტრზე მდებარეობს. მყინვართა ეგზარაციული მოქმედებისა და ზედაპირული ჩამონადენის გამო ზეგნის ზედაპირი მნიშვნელოვნადაა გადარეცხილი. ვულკანური პლატოს მხოლოდ ნაწილია დაფარული ალპური მცენარეულობით [კვერენჩხილაძე, 1968].

1.3.კლიმატი

საქართველოს ტერიტორია ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების დიდი სხვადასხვაობით ხასიათდება და მოქცეულია ორ კლიმატურ ოლქში [კორძახია, 1964, გვ. 97-98]. პირველი ზღვის სუბტროპიკული ნოტიო კლიმატის ოლქია და წლის ყველა სეზონში ხასიათდება მუსონური ქარებითა და ატმოსფერული ნალექების სიუხვით. მეორეა კონტინენტური სუბტროპიკულიდან ზღვის ნოტიო ჰავაზე გარდამავალი ოლქი. ცხინვალის რეგიონი ამ ორი კლიმატური ოლქის საზღვარზე მდებარეობს, თუმცა მისი უდიდესი ტერიტორია შედის კონტინენტური სუბტროპიკულიდან ზღვის ნოტიო ჰავაზე გარდამავალ ოლქში. რეგიონის მხოლოდ უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ექცევა სუბტროპიკული ნოტიო ჰავის ოლქში.

რეგიონის კლიმატის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს კავკასიონის მთაგრეხილი, რომელიც ოლქის ტერიტორიას იცავს ჩრდილოეთიდან არქტიკული და პოლარული ჰაერის მასების შემოჭრისგან. ამის გამო ჰაერის ტემპერატურა აქ უფრო მაღალია, ვიდრე ქედის ჩრდილოეთი ფერდობის შესაბამის სიმაღლეზე. ჰაერის ტემპერატურა კლიმატის ის ელემენტია, რომელიც მკვეთრად იცვლება ოროგრაფიული პირობების ცვლალებადობის, კერძოდ, ადგილის სიმაღლის ზრდასთან შესაბამისად. აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად მცირდება ჰაერის ტემპერატურა. სამხრეთის ვაკეებში გვხვდება, ასევე, ეკალ-ბარდიანი სტეპი.



ნახ.1.3. ჰავის ტიპები (1964წ სსრ ატლასი მიხედვით)

ზღვის სუბტროპიკული ნოტიო ჰავის ოლქი:

3 - ნოტიო. ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით: 4 - ნოტიო ჰავა. ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით: 5 - ნოტიო ჰავა. ცივი ზამთრითა და მოკლე ზფხულით: 6 - მაღალმთის ნოტიო ჰავა. ნამდვილზაფხულს მოკლებული.

ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქი:

11 - ზომიერად ნოტიო ჰავა. ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით, ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში: 12 - ზომიერად ნოტიო ჰავა. ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით, ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში: 16 - ზომიერად ნოტიო ჰავა. ცივი ზამთრითა და მოკლე ზაფხულით, ნალექების მინიმუმით ზამთარში: 17 - მაღალმთის ზომიერად ნოტიო ჰავა. ნამდვილზაფხულს მოკლებული: 18 - მაღალმთის ჰავა. თოვლით და მყინვარებით.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში განისაზღვრება შემდეგი სახის კლიმატი:

1. მშრალი, სტეპური კლიმატი ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურა იანვარში -0.5° C-დან + 2 ° C-მდე, ხოლო ივლისში - 22° C-დან 25° C-მდე; წვიმის დროს წელიწადში 350-600 მმ ნალექი მოდის; მაქსიმალური - აპრილში-აგვისტოში.

2. ზომიერად ნოტიო კლიმატი ზომიერად ცივი ზამთრით და გრძელი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურა იანვარში არის -1 ° C- დან - 8 ° C- მდე, ხოლო ივლისში - 13 °C - დან 20 ° C მდე; ნალექის რაოდენობა წელიწადში 700-1400 მმ-ია, მაქსიმუმი მაის-ივნისში და მინიმუმი იანვარსა და აგვისტოში. იგი ვრცელდება გუდისის, ლომისის და ხარულის მთაზე, ლიხის ქედის ჩრდილოეთით, 2000-2200 მ სიმაღლეზე.

3. ტენიანი კლიმატი ცივი და გრძელი ზამთრით და გრილი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურა იანვარში -8° C-დან -14° C - მდე, ხოლო ივლისში - 3° C -დან 5° C-მდე; ნალექის წელიწადში 1000-1800 მმ-ია; მაქსიმუმი ივნისში, მინიმალური - იანვარში. გავრცელებულია 2200-3000 მ სიმაღლეზე.

4. მარადიული თოვლი და მყინვარების ალპური ნოტიო კლიმატი. იგი ვრცელდება კავკასიონის ქედის მწვერვალებზე, 3000-3600 მ სიმაღლეზე (ხალაწას მთაში, კოზი-ხოხში, ძედოში).

1.4.შიდა წყლები

რეგიონის დიდი ნაწილი მოქცეულია კასპიის ზღვის აუზში, რომელსაც ეკუთვნის მდინარეები: ქსანი, ლეხურა, დიდი და პატარა ლიახვი და სხვ. ტერიტორიის მცირე ნაწილი ეკუთვნის შავი ზღვის აუზს, რომლის მდინარეებია: ყვირილა, ჭანჭახი, ჯეჯო-რა, ქვედრულა და სხვ. მდინარეთა უმრავლესობა მერედიანული მიმართულებისაა და კავკასიონის გვერდით ქედებს შორის არსებულ დადაბლებებში მიედინებიან.

მდინარეები შერეული საზრდოობისაა, იკვებებიან წვიმის, თოვლის და მიწისქვეშა წყლებით. მყინვარებით საზრდოობს დიდი ლიახვი და ჭანჭახი. ამ პირობების გამო

მდინარეებს ახასიათებთ წყლის რაოდენობის მკვეთრი ცვალებადობა წლის სხვადასხვა სეზონში. გაზაფხულზე კავკასიონის სამხრეთ კალთებზე თოვლის დნობასთანაა დაკავშირებული წყალდიდობები, რასაც აძლიერებს ხშირი და ძლიერი წვიმები, ივნისის შემდეგ იწყება წყალმცირობა. დეკემბერ-იანვარში ადგილი აქვს ჩამონადენის მინიმუმს.

რეგიონის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის მდინარეებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მათ ენერგიის დიდი მარაგი და მორწყვისთვის გამოყენების პოტენციალი აქვთ. რელიეფის დახრილობისა და დასერილობის გამო მდინარეებს დიდი ვარდნა ახასიათებთ და გამოირჩევიან ჩქარი დინებით. მდინარეთა დახრილობა შედარებით სუსტია რეგიონის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში. ადვილად შლადი ქანების გამო აქ გვერდითი ეროზია ინტენსიურია, ხეობები ფართოა და ტერასები ვითარდება. ჰიდროგრაფიული ქსელის მთავარი არტერიებია დიდი ლიახვი და ქსანი. სათავეებიდან შიდა ქართლის ვაკემდე ღრმა ხეობებში მიედინებიან რომელთა ფერდობები ხშირი ტყითაა დაფარული. მათ აუზებშია თავმოყრილი რეგიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მიწები, სამრეწველო საწარმოები, მათ გასწვრივაა მოქცეული ძირითადი საკომუნიკაციო ხაზები.

დიდი ლიახვი და ქსანი ეკუთვნის საქართველოს ისეთ მდინარეებს რომელთა ხეობები უძველესი დროიდანაა ათვისებული სამეურნეო მიზნით. რეგიონის მდინარეებს დიდი ენერგორესურსული პოტენციალი გააჩნიათ და რამდენიმე მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებია აგებული. აღსანიშნავია, კეხვის, ცხინვალის (დიდ ლიახვზე), ვანათის (პატარა ლიახვზე), იკოთის (ქსანზე) და სხვ.

რეგიონში მდინარის წყალი გამოიყენება სარწყავად და რიგ მდინარეებზე მოწყობილია სარწყავი არხები. მთავარი არხებია: ტირიფონისა და სალთვისის (დიდ ლიახვზე), თეზი-ოკამის სოფელ ახმაჯთან (ქსანზე), ვანათის (პატარა ლიახვზე) და სხვ. მდინარის წყალს აგრეთვე იყენებენ სასმელადაც.

რეგიონის მაღალმთიანი ნაწილი მდიდარია ტბებით. ყველაზე მნიშვნელოვანია ყელის ტბა. იგი ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ტბაა ცენტრალური კავკასიონის

მაღალმთიან ზონაში. ტბა მდებარეობს ყელის ვულკანური ზეგნის ტროგულ ქვაბულში, ზ.დ. 2921 მეტრზე. ტბა საზრდოობს პატარა შემდინარეებით, წყაროებით და თოვლის წყლით. ტბაში არც თევზია და არც მცენარეულობა და წყლის ტემპერატურა ზაფხულში ზოგჯერ 0^0-ზე ქვემოთ ჩამოდის. ზამთარში ტბის ზედაპირი იფარება სქელი ყინულით.

ერწოს ტბა, რომელიც მდებარეობს ზ.დ. 1700 მ სიმაღლეზე, გაჩენილია კარსტული და ტექტონიკური პროცესების შედეგად. ზამთარში მთლიანად იფარება ყინულის საფარით. ტბის მიდამოებში გავრცელებულია მდელოს ტიპის ჭაობი.

რეგიონის ტერიტორია მდიდარია მიწისქვეშა წყლებით. მათი გამოსასვლელები განსაკუთრებით ბევრია მაღალმთიან რაიონებში. მათი წარმოქმნა დაკავშირებულია თოვლის ნადნობი წყლისა და წვიმის წყლის ჩაჟონვით ვულკანურ ნაპრალებში. მიწისქვეშა წყლებს ზოგგან სამეურნეო დანიშნულებაც აქვთ. მაგალითად სოფ.ედისში მიწისქვეშა წყლების გამოსასვლელები ქმნიან მდ.კადადონს (წისქვილის წყალს), რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს რამოდენიმე წისქვილი.

რეგიონი მდიდარია ჰიდრომინერალური რესურსებით. აქ წარმოდგენილია 200-მდე მინერალური წყარო. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯავის მინერალურ წყალს -„ძაუს“ რომლის ბაზაზეც აშენდა მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა. აგრეთვე მნიშვნელოვანია მინერალური წყალი „ბაგიათა“ რომლის ჩამოსხმაც დღემდე წარმოებს. წყაროები უხვადაა დიდი ლიახვის,ქსნის და ქეშელთის სათავეებში. ქიმიური შემადგენლობით და ფიზიკური თვისებებით ისინი ემსგავსებიან საირმის, ბორჯომის, ლუგელას ტიპის წყალს. რეგიონის მაღალმთიან სოფლებში თითქმის ყველგან ვხვდებით მინერალურ წყალს.

1.5.ნიადაგ-მცენარეული საფარი

ცხინვალის რეგიონი ნიადაგსაფარის სიჭრელით გამოირჩევა. ნიადაგები იცვლება როგორც დასავლეთიდან-აღმოსავლეთის, ისე სამხრეთიდან-ჩრდილოეთისაკენ

სიმაღლითი ზონების მიხედვით. აქ ნიადაგების განლაგებაში კარგადაა გამოხატული ვერტიკალური ზონალობა.

რეგიონის ტერიტორიაზე გავრცელებულია შემდეგი ნიადაგები: მთა-მდელოთა, ტყის ყომრალი, ნეშომპალა-კარბონატული და ალუვიური ნიადაგები. მთა-მდელოთა ნიადაგების ზონაში გამოირჩევა ალპური და სუბალპური ქვეზონები და აგრეთვე მეორადი მდელოების ნიადაგები. ალპური ქვეზონის ნიადაგები ვრცელდება ძირითადად რეგიონის მაღალმთიან ნაწილში. იგი ღია მურა ფერითა და მცირე სისქით ხასიათდება. უხეში თიხნარი მექანიკური შედგენილობისაა, ჩადაბლებულ ადგილებ-ში დაჭაობებულია. ალპური ქვეზონის მნიშვნელოვანი ტერიტორია მთლიანად მოკ-ლებულია ნიადაგსაფარს. უფრო დიდი ადგილი უკავია მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებს. მათ ზედა ფენებში გარკვეული რაოდენობითაა ჰუმუსი და აზოტი, რომელიც სიღრმისკენ სწრაფად მცირდება [ბარათაშვილი, 1940].

სუბალპური ნიადაგების ქვედა საზღვართან გავრცელებულია მეორადი მდელოს ნიადაგები, რომლებსაც ახასიათებთ როგორც მდელოს ხე ტყის ნიადაგების თვისებები. მთა-მდელოთა ზონაში მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო ძალზე შეზღუდულია ნიადაგის განვითარებისა და გამოყენების შესაძლებლობა. ამიტომ მათი გავრცელების არეალი ემთხვევა ძირითადად ალპური და სუბალპური საძოვრების რაიონს, რომელიც მეცხოველეობის ზონას წარმოადგენს.ფართო გავრცელება აქვს ტყის ყომრალ ნიადაგებს. მათთვის დამახასიათებელია ცალკეულ ჰორიზონტებად სუსტი დიფერენციაცია და ფერისა თუ სხვა ნიშნების ერთგვაროვნება. სტრუქტურა ერთფეროვანია-საკმაოდ ფხვიერი. ისინი იყოფიან ღია და ყომრალ ნიადაგებად. ყომრალი ნიადაგები გავრცელებულია რეგიონის სამხრეთ ნაწილში. ტყის ქვედა ზონაში მკვეთრად დაქანებული ფერდობებზე განვითარებულია ეროზია.

ტყის ზონის ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს ახასიათებს მაღალი ნაყოფიერე-ბა. თავისი თვისებების გამო იგი საუკეთესოა ვაზის კულტურისთვის. რეგიონის სამხრეთი ნაწილის დეპრესიებსა და შიდა ქართლის ვაკისკენ სუსტად დახრილ ფერდობებზე განვითარებულია ჰუმუსით მდიდარი შავმიწისებური ნიადაგი,

რომლის სწორი მორწყვა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. იმ რაიონებში სადაც განვითარებულია კირქვის შემცველი ქანები, დიდი ფართობი უჭირავს ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს. ნიადაგი დიდი რაოდენობით შეიცავს ხირხატს კირქვების ნატეხების სახით. მასში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ჰუმუსი და აზოტი. დაბალმთიან რაიონებში მდინარეთა ტერასებსა და ჭალებში ვიწრო ზოლად გვხვდება ალუვიური ნიადაგები, რომელიც ხასიათდება სუსტად გამოხატული სტრუქტურითა და დიდი ხირხატიანობით.რეგიონში წარმოდგენილი ნიადაგებიდან შედარებით დიდი გეოგრაფიული გავრცელება აქვს მთა-მდელოთა, ტყის ყომრალ და შავმიწისებრ ნიადაგებს. ხოლო ნეშომპალა-კარბონატული, ალუვიური და დელუვიური ნიადაგების მიერ დაკავებული ფართობი შედარებით მცირეა.



ნახ.1.4. აღდგენული მცენარეული საფარის რუკა (ნ.კეცხოველის 1958წ.მიხედვით)

1 - აღმოსავლეთ საქართველოს ვაკის ტყეები: 2 - აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეები

15 - დასავლეთ საქართველოს წიფლნარები : 16 - აღმოსავლეთ საქართველოს წიფლნარები

17 - კოლხეთის ტიპის ტყის დაჯგუფებები აღმოსავლეთ საქართველოში: 19 - ნაძვნარ-სოჭნარები

20 - აღმოსავლეთ საქართველოს მუხნარები და რცხილნარები: 21 - მთის ფიჭვნარები

25 - დასავლეთ საქართველოს სუბალპური ტყე: 27 - აღმოსავლეთ საქართველოს სუბალპური მდელოები: 30 - ალპური მდელოები: 3 2 - ჯაგეკლიანი ველი ტყის ელემენტებით

რეგიონის მცენარეული საფარი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ ვხვდებით ფართოფოთლოვან ტყეებსა და მარადმწვანე ბუჩქებს, მეორად ტყეებსა და ლიანებს, სუბალპური და ალპური მდელოების მცენარეულობას და სხვა. რეგიონის დიდი ნაწილი მოქცეულია აღმოსავლეთ საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო უკიდუ-რესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეკუთვნის მდინარე რიონის აუზს.დასახლებულ ნაწილში ადამიანის ხანგრძლივი სამეურნეო საქმიანობის შედეგად მცენარეული საფარი შეიცვალა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც რომ რეგიონის მთისწინებში ტყეები თითქმის არ გვხვდება. სამრეწველო საწარმოებისა და დასახლებული პუნქტების ირგ-ვლივ ტყეები მხოლოდ კორომების სახით არის შემორჩენილი. ტყის დიდი ნაწილი თავმოყრილია საშუალო და მაღალმთიან ზონებში, თუმცა მათი ფართობი ძალზე შემცირებულია. ნ.კეცხოველის მიხედვით რეგიონის ტერიტორიაზე გამოიყოფა კულტურულ მცენარეთა შემდეგი ჯგუფები [კეცხოველი, 1957]:

- ვენახებისა და ხეხილის ბაღების ზონა _ ვრცელდება რეგიონის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. ზონის წამყვანი კულტურებია ვაზი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი;
- ხილის ბაღებისა და მინდვრების კულტურების ზონა _ უჭირავს შიდა ქართლის ბარის ჩრდილოეთი პერიფერიული ნაწილი. აქ გვხვდება ვაშლი, მსხალი, ქლიავი, სიმინდი, ხორბალი;
- მთის ტყეთა მცენარეულობის ზონა _.ვრცელდება რეგიონის ცენტრალური ნაწილის მთელ სიგრძეზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. კულტურებიდან გავრცელებულია ყინვაგამძლე ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კენკროვანები, საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, კარტოფილი;

- მთის სათიბებისა და საძოვრების ზონა _ მდებარეობს რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში. გავრცელებულია ძირითადად საქონლის საკვები ბალახეულობა.

ზემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა ზონაში ფართო გავრცელება აქვს გარეულ ხილს (პანტა, ტყემალი,ზღმარტლი და სხვ). ზოგიერთი სოფლის სახელწოდებაც კი მიგვითითებს იქ გარეული ხილის დიდ რაოდენობაზე. მაგალითად ასეთი სოფლებია: მსხლები ჯავისა და ახალგორის რაიონში, პანტიანი ცხინვალის რაიონში, ვაშლოვანი ახალგორის რაიონში და სხვ.

მაღალმთიანი ზონის მცენარეულობა წარმოდგენილია ე.წ. ალპური ხალებით _ დაბალი და ძალიან სქელი ბალახოვანი საფარით. აქ „ხალების“ სამეურნეო მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს საუკეთესო საზაფხულო საძოვრებს. სუბალპური ზონის მცენარეულ საფარს ქმნის საკმაოდ მაღალი (60-80 სმ) ბალახი, რომელიც სათიბებად გამოიყენება.

ცხინვალის რეგიონის ტერიტორიის თითქმის ნახევარი უკავია ტყის მასივებს, ხოლო დანარჩენი ნაწილი — ალპურ და სუბალპურ მდელოებს.



ნახ.1.5. ტყის საფარის რუკა (ი.ჯავახიშვილის 1922 წლის რუკის მიხედვით)

ტყის მასივები განლაგებულია კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, სადაც ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს ფოთლოვანი და წიწვიანი ჯიშების განვითარებას. ტყეები უმთავრესად მიეკუთვნებიან პირველ კატეგორიას. მათ ნიადაგდაცვთი და წყალშენახვითი მნიშვნელობა აქვთ. ხასიათდებიან დიდი საკურორტო მნიშვნელობით. მნიშვნელოვანწილად მათზეა დამოკიდებული რეგიონში არსებული მინერალური წყლების დებიტი. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი მდიდარია ტყის რესურსით და დიდია მათი სამრეწველო მარაგიც, ისინი ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს ვერც მერქანზე და ვერც შეშაზე. საქმე ისაა, რომ რეგიონის ტყეების საექსპლუატაციო ფართობის დიდი ნაწილი ძნელად მისადგომ, ძალზედ დახრილ ადგილებშია განლაგებული. ჯიშობრივი შემადგენლობით რეგიონში ტყეების ედიფიკატორს წარმოადგენს წიფელი, რომელსაც უჭირავს ტყის მთელი ფართობის 79 %. მერქნიანი ჯიშის მეორე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია მუხა(9,8%). წიწვოვნებს უჭირავს 8%, ხოლო ისეთ ჯიშებს როგორიცაა რცხილა, ნეკერჩხალი,წაბლი, არყი და სხვა 3.2%. ქვეტყეში ვხვდებით წითელ მოცხარს, მაყვალს,ჟოლოს, ველურ ვარდს და სხვ. რელიქტური სახეობიდან გვხვდება უთხოვარი. რეგიონში დაცული ბუნებრივი ტერიტორიაა ლიახვის ნაკრძალი. როგორც ვხედავთ რეგიონის ტყის მასები შერეული შემადგენლობისაა. რომელიმე ჯიშის სუფთა მასივები მხოლოდ ზოგგან გვხვდება. მაგალითად წიფლის მდინარე ყვირილას სათავეებში [Санакоев, 1958].

მთისწინა ზოლში ტყე გამოიყენება შეშად, რომელსაც გარკვეული ადგილი უკავია სათბობ ბალანსში. აგრეთვე ტყე იჩეხება ვენახის სარების დასამზადებლად. ნადგურდება ასევე სუბალპური ტყეებიც, რომლებიც განლაგებულია საზაფხულო საძოვრების სიახლოვეს. არასწორმა ექსპლუატაციამ და უკონტროლო ჭრამ დიდი ზიანი მიაყენა ტყის მასივს და მნიშვნელოვნად შემცირდა მათი ფართობი.

დღევანდელი მდგომარეობის დადგენა გართულებულია,ვინაიდან ეს ტერიტორია ოკუპირებულია და ვერ ხერხდება სრულყოფილი კვლევის ჩატარება და ანალიზი.

1.6.ძირითადი ლანდშაფტები

ცხინვალის რეგიონი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რეგიონში წარმოდგენილია ლანდშაფტთა 16 გვარი. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ეს რეგიონი მდებარეობს ორ კლიმატურ ოლქში, რაც ლანდშაფტის მრავალფეროვნებას განაპირობებს. ამ ქვეთავში ლანდშაფტთა გვარები მიმოვიხილოთ და დავახასიათოთ ცალ-ცალკე.



ნახ. 1.6. ძირითადი ლანდშაფტები (გვარები)

ნ. ბერუჩაშვილის რუკის მიხედვით [Беручашвили, 1979]

ზომიერად თბილისაკენ გარდამავალი, სემიჰუმიდური, ტყისა და შიბლიაკის (Б3 - ქვეტიპი): 19 _ მთისწინეთის ბორცვიანი ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი ჯაგრცხილნარ-მუხნარი დერივატებით, შიბლიაკით, ნაწილობრივ არიდული მეჩხერი ტყეებით, ფრიგანითა და ურიანი სტეპებით, ზოგან ბედლენდებით. ეს ლანდშაფტი გავრცელებულია შიდა ქართლის ვაკის და მიმდებარე მთისწინა ზოლში. აბსოლუტური სიმაღლეა 400-700(ზოგგან 900)მ. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციური,ციცაბო ფერდობებიანი მთისწინეთი სერებითა და ქვაბულებით, ზოგგან პლატოსებრი ზედაპირით არის წარმოდგენილი. კლიმატი სუბტროპიკული სემიჰუმიდური, გარდამავალი ზომიერად თბილი კონტინენტურია. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა საშუალოდ 450-500 მმ-ია. ნიადაგი ყავისფერი ტიპური, მდელოს ყავისფერი, თიხნარი და მძიმე თიხნარი მექანიკური შედგენილობით. ძირითადად გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის. ძირითადი საფრთხეები ლანდშაფტისათვის არის ეროზია, გაუდაბნოება, ტყის ჭრა, ტენის დეფიციტი, სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, სამრეწველო საწარმოები და სხვა. ანთროპოგენური ტრანსფორმაცია მნიშ-ვნელოვან ფართობზეა წარმოდგენილი, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სავარგუ-ლებით.

ვაკეებისა და მთისწინეთის ბორცვიანი სუბტროპიკული სემიარიდული (B - ტიპი); სტეპის, შიბლიაკსა და ნახევრად უდაბნოს (B1 - ქვეტიპი): 23 _ ვაკე-ბორცვების აკუ-მულაციური ლანდშაფტი ურიანი სტეპებით, შიბლიაკით, იშვიათად მდელოებით. ეს ლანდშაფტი გავრცელებულია ქვემო ქართლის ვაკეზე (ქარელის და გორის მუნიციპალიტეტი).გვხვდება ზ.დ.-დან 200-600 (ზოგგან 800) მ-ზე. კლიმატი სუბ-ტროპიკული არიდული ზომიერად კონტინენტურია. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რადენობა 500-600მმ-ია. რელიეფი ეროზიულ-აკუმულაციურია. ბორცვიანი და დახრილი სუსტად დანაწევრებული ვაკეებზე. ზოგგან დასერილია ტერასებითა და ხრამებით. გაბატონებულია დამრეცი ფერდობები.ნიადაგი მდელოს ყავისფერია.მცენარეული საფარიდან დამახასიათებელია ურიანი სტეპები, შიბლი-აკი, შედარებით იშვიათად მდელოები და მდელო-სტეპები. მცირე რაოდენობით

გვხვდება მუხის კორომები.ანთროპოგენური ტრანსფორმაცია თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს. ძირითადად სახეცვლილია სარწყავი სისტემებითა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით.

ჰიდრომორფული და სუბჰიდრომორფული (И - ტიპი), ჭაობის, ბიცობ-მლაშობიანი, მდელოსა და ტუგაის (И1 - ქვეტიპი): 51 _ ვაკების აკუმულაციური და ჭალის ლანდშაფტი ტუგაისა და მდელოს მცენარეულობით, იშვიათად ჭაობებითა და მლაშობებით.ეს ლანდშაფტი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიდ მდინარეთა გასწვრივ. რელიეფი წარმოდგენილია აკუმულაციური ვაკეებითა და ქვაბულებით,ჰიდრომორფული და სუბჰიდრომორფული რეჟიმით. ნიადაგი ალუვიურია.მცენარეული საფარიდან გავრცელებულია ტუგაის ტყეები, მდელოები,იშვიათად ჭაობები და მლაშობები, რაც დაკავშირებულია არასწორ რწყვასთან.ანთროპოგენური ტრანსფორმაცია მთელ ტერიტორიას მოიცავს.

მთის ზომიერად თბილი ჰუმიდური (H - ტიპი), საშუალო მთის ტყის კოლხური (H2 - ქვეტიპი): 70 _ საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი ტყეებით და მარადმწვანე ქვეტყით; ეს ლანდშაფტი მდებარეობს ზ.დ-დან 700-1500 (1700)მ-ზე.რელიეფი ეროზიულ-დენუდაციური.გაბატონებულია საშუალო და ციცაბო ფერდობები. ნიადაგი ყომრალი მჟავე,მცირე ან საშუალო სიმძლავრის, ფორმირებულია არაკარბონატულ სუბსტრაქტზე.ხშირად გაეწრებული. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური როდენობაა 1100-1300მმ. კლიმატი ზომიერად თბილი ჰუმიდური, სუსტად კონტინენტური.მცენარეული საფარიდან მნიშვნელოვანი მასივები უკავია წიფლნარ ტყეებს, ზოგგან იცვლებიან შერეული სუბტროპიკული ან წაბლნარი ტყეებით.ზღ.დ დან 1500მ-ს ზემოთ მათ ენაცვლება ნაძვნარ-სოჭნარები. ტყეებში გვხვდება მარადმწვანე ბუჩქნარები. ანთროპოგენული ტრანსფორმაცია არაერთგვაროვანია, ზოგან ძლიერ არის სახეცვლილი, ზოგგან კი სუსტად.

ქვედა მთის ტყის (H5 - ქვეტიპი): 82 _ ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი ჯაგრცხილნარ-მუხნარი, მუხნარი ტყეებითა და მეორეული შიბლიაკით;

ლანდშაფტი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე,შიდა ქართლში, ლიხის ქედიდან კახეთისა და გომბორის ქედებამდე. კლიმატი ზომიერად თბილი ჰუმიდური, სემიჰუმიდური, ზომიერად კონტინენტურისაკენ გარდამავალია. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციური, ეროზიულ-დენუდაციურ-აკუმულაციურია. გაბატონებულია ციცაბო, საშუალო და დამრეცი დახრილობის ფერდობები. ნიადაგი ყავისფერი ტიპური, ყავისფერი კარბონატულია. მცენარეული საფარიდან დამახასიათებელია ჯაგრცხილნარ-მუხნარი,მუხნარი ტყეები და მეორადი შიბლიაკი. ზოგგან გვხვდება წიფლნარ-რცხილნარი და წიფლნარ-ჯაგრცხილნარი, იშვიათად მუხნარი ტყეები. ანთროპოგენული ტრანსფორმაციის თვალსაზრისით დიდი ფართობები უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

საშუალო მთის ტყის კოლხური (H2 - ქვეტიპი): 89 _ საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი, იშიათად ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით . ლანდშაფტი ვრცელდება კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ლიხის ქედიდან კახეთის ქედამდე. მოიცავს ლიხის,გერმუხის, ხარულის, ალევის,ქართლისა და კახეთის ქედებს და მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, არაგვისა და ივრის შუა წელის აუზებს. ვრცელდება ზ.დ 900-1000მ-დან 1800-1900 მ-მდე. კლიმატი ზომიერად თბილი ჰუმი-დური, ზომიერად კონტინენტური, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით ხასიათდება. ნალექები არათანაბრადაა განაწილებული და საშუალო წლიური რაოდენობა 680-930 მმ-ია. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციურია, გაბატონებუ-ლია საშუალო და ციცაბო ფერდობები. საკმაოდ დანაწევრებულია ეროზიული ხეობებით. ნიადაგი ყომრალი მჟავე, ყომრალი სუსტად არამაძღარი, მცირა და საშუალო სისქის, მძიმე თიხნარი და თიხნარია.მცირე ფართობზე კირქვული ქანების გავრცელების არეალში გვხვდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. მცენარეული საფარიდან გაბატონებულია წიფლნარი ტყეები. ანთროპოგენური ცვლილებები აქ შედარებით სუსტია რთული ოროგრაფიული პირობების გამო და შედარებით შენარჩუნებულია პირვანდელი ბუნებრივი სახე.

მთის ზომიერად ცივი (T - ტიპი), საშუალო მთის მუქწიწვიანი ტყის (T1- ქვეტიპი):

125 _ საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწიწვინებითა და მუქწიწვიანებით (აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი) მარად-მწვანე ქვეტყით; ლანდშაფთი ვრცელდება ზ.დ1000(1500)- 1800(2000)მ. ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის სამხრეთ და მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე. კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდური, ზღვიური და სუსტად კონტინენტურია. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 900მმ-ზე დაბალი არსად არ გვხვდება, ზოგგან კი 1500-1700მმ-ს აღემატება. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციურია.გაბატონებულია საშუალო და ციცაბო დახრილობის ფერდობები. ნიადაგი ტყის ყომრალი, მცირე ან საშუალო სიმძლავრის, ფორმირე-ბულია არაკარბონათულ სუბსტრაქტზე. მცენარეული საფარი კოლხურ იერს ატარებს. მნიშვნელოვანი მასივები უკავიათ ნაძვნარ-სოჭნარ-წიფლნარ ტყეებს. ლანდშაფტების გავრცელების აღმოსავლეთ ნაწილში დამახასიათებელია ფიჭვნარი ტყეები. ანთროპო-გენური ცვლილებები შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი და ინარჩუნებს პირ-ვანდელ სახეს, თუმცა განაჩეხ ადგილებზე განვითარებულია ეროზიული პროცესები. ფრაგმენტების სახით არის წარმოდგენილი სასოფლო სამეურნეო სავარგულები.

127 _ საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწიწ-ვიანი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვი) ტყეებით (ლანდშაფტი 127); ლანდშაფტი ვრცელდება მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე (აჭარა, მესხეთი) და კავკასიონის სანხრეთ ფერდობზე(შიდა ქართლი). აბსოლუტური სიმაღლე ზ.დ. 1100(1300)-1800(1900)მ. კლიმატი ნოტიო სუსტად კონტინენტურია .ზაფხული თბილია, ზამთარი ცივი და ხანგრძლლივია. ნალექების წლიური რაოდენობა 600-900მმ-ია.რელიეფი ეროზიულ-დენუდაციური, გაბატონებულია საშუალო და ციცაბო ფერდობები. ნიადაგი ტყის ყომრალი, ყომრალ-შავი, მცირე ან საშუალო სიმძლავრის, სუსტად დიფერენცირებულია.მცენარეული საფარიდან მნიშვნელოვანი მასივები უკავიათ წიფლნარ-ნაძვნარ-სოჭნარსა და ნაძვნარ-სოჭნარ ტყეებს. ანთროპოგენური ცვლილების ხარისხი სუსტია და ნაკლებად აქვს შეცვლილი პირვანდელი სახე.

ზედა მთის ტყის ფიჭვნარი და არყნარი (T2 - ქვეტიპი): 129 __ ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, იშვიათად პალეოგლაციალური ლანდშაფტი არყის ხის, ზოგან ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის, კოხის ფიჭვის) ტყეებითა და პონტოური მუხის დაბალტანიანი ტყეებით:ლანდშაფტი ვრცელდება კავკასიონის სამხრეთ და მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე. ზ.დ 1700-2000მ-ზე. კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდურია. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციური, ზოგგან ეროზიულ-აკუმულაციური და პალეოგლაციალურია. გაბატონებულია ციცაბო და საშუალოდ დახრილი ფერდობები, ზოგგან ბრტყელზედაპირიანი თხემები. ნიადაგი მთა-ტყე-მდელოს. მცენარეული საფარიდან დამახასიათებელია არყნარი და ფიჭვნარი,ზოგგან დაბალტანიანი მუხნარი ტყეები. წარსულში აღნიშნულ ლანდშაფტს დიდი ფართობი ეკავა, დღეისათვის კი მნიშვნელოვნადაა განადგურებული ტყის ჭრისა და ინტენსიური გაძოვების შედეგად. დიდი ფართობი უკავია მეორეულ მდელოებს.

130 _ ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი არყის ხისა და აღმოსავლეთმუხნარი პარკული ტყეებით. ლანდშაფტები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში მცირე ფრაგმენტების სახით. ზ.დ. 1700-2000მ დიაპაზონში. კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდურია. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციური,საშუალო დახრილობისა და ციცაბო ფერდობებით. ნიადაგი მთა-ტყე-მდელოს. ანთროპოგენური ცვლილების თვალსაზრისით შედარებით კარგად აქვს შენარჩუნებული პირვანდელი სახე.

მაღალი მთის მდელოს (У - ტიპი), მაღალი მთის სუბალპური ტყე-ბუჩქნარ-მდელოს (У1 - ქვეტიპი): 137 _ მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით; აღნიშნული ლანდშაფტის გავრცელების არეალია აღმოსავლეთ კავკასიონია ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობები. აბსოლუტური სიმაღლე ზ.დ.1800(2000) – 2200(2400)მ. კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდურია.რელიეფი დენუდაციურია.დამახასიათებელია სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე მოსწორებული ზედაპირები.შემორჩენილია მეოთხეული ვულკანიზმის

ნიშნები. ანთროპოგენური ცვლილების ხარისხი მცირეა და ძირითად საფრთხეს ლანდშაფტისთვის წარმოადგენს ეროზია, თოვლის ზვავები, ტყის ჭრა, გაძოვება და სხვა.

მაღალი მთის ალპური ბუჩქნარ-მდელოს (У2 - ქვეტიპი): 144 _ მაღალი მთის დენუდაციურ-პალეოგლაციალური ლანდშაფტი ალპური მდელოებით, ხშირად დეკიანებთან კომპლექსში; აღნიშნული ლანდშაფტი გავრცელებულია როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში ზ.დ. 2200-2700მ-ზე. რელიეფი დენუდაციურია. გაბატონებულია ციცაბო ფერდობები. შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნაშთები ცირკების,კარების,მორენების სახით. დამახასიათებელია რელიეფის პერიგლაციალური ფორმები.ნიადაგი მთა-ტყე-მდელოს კორდიანია, უმეტესად მცირე და პრიმიტიული. მცენარეული საფარი წარმოდგენილია მდელოებითა და სუბალპური ტანბრეცილი ტყეებით,იშვიათად ბუჩქნარებით. მნიშვნელოვნადაა სახეცვლილი და ძირითადად გამოიყენება ზაფხულის საძოვრებად და სათიბებად.

146 _ მაღალი მთის კარსტული ლანდშაფტი ალპური მდელოებით; ვრცელდება ზ.დ. 2700-3200მ-ზე. რელიეფში გაბატონებულია ციცაბო და საშუალოდ დახრილი ფერდობები და რელიეფის კარსტული ფორმები. ნიადაგი მთა-მდელოს კორდიანია. ანთროპოგენული ცვლილება უმნიშვნელოა.

147 _ მაღალი მთის პალეოგლაციალურ-დენუდაციური ლანდშაფტი ალპური მდელოებით, დეკიანებთან კომპლექსში. ლანდშაფტი გავრცელებულია აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე. ზ.დ. 3000-3200(3400)მ-ზე. რელიეფში თითქმის უწყვეტადაა წარმოდგენილი ძველი გამყინვარების ნაშთები. ბევრია კლდოვანი მასივები. ამგები ქანები ადვილად იფიტება და ინგრევა, ამიტომ მრავლადაა წარმოდგენილი ლოდნარები, ღორღნარები და მორენული გროვები. მცენარეულობიდან ჩრდილოეთ ფერდობზე გვხვდება დეკიანები და სხვა სუბალპური ბუჩქნარები.

მაღალი მთის სუბნივალური (У3_ქვეტიპი): 150 _ მაღალი მთის სუბნივალური ლანდშაფტი. აღნიშნული ლანდშაფტი ვრცელდება ზ.დ. 3000 მ-ის ზემოთ მუდმივ თოვლის ხაზამდე. რელიეფისთვის დამახასიათებელია ციცაბო კლდოვანი თხემები, ხშირად რთულად მისაღწევი მწვერვალებით. გავრცელებულია რელიეფის

პალეოგლაციალური ფორმები,მყინვარული ცირკები,მორენები,ტროგები, ერატიული ლოდები. უხვადაა კლდოვანი გაშიშვლებები, ქვის მდინარეები და ქვის „ზღვები“-კარკალები. ნიადაგი პრიმიტიულია.მცენარეული საფარი ძლიერ გამეჩხერებულია და წარმოდგენილია ხავსებით და მღიერებით, თუმცა იშვიათად მათ სარტყელში იჭრება ალპური და სუბალპური მცენარეულობაც. ანთროპოგენული ცვლილებები პრაქტიკულად არ არის და ხელუხლებელია. თუმცა პერსპექტიულია ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის. [ნიკოლაიშვილი, 2009].

1.7.მოსახლეობა

საქართველოში სხვადასხვა წლებში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ცხინვალის რეგიონის დემოგრაფიულ ვითარებაზე, თუმცა გარკვეული ხარვეზები მაინც არსებობს. ეს განსაკუთრებით ითქმის თანამედროვე პერიოდზე. არაკონტროლირებად ტერიტორიაზე სახელმწიფო სტრუქტურებს არ აქვს შესაძლებლობა ჩაატაროს მოსახლეობის აღწერები. შესაბამისად არ გაგვაჩნია ბოლო უკანასკნელი 2 აღწერის მასალები. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მიერ ჩატარებული აღწერები კი ნაკლებად სარწმუნოა.

გაეროს წევრი ქვეყნებისათვის, გაეროს რეკომენდაციაა, რომ ყოველ 10 წელში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს მოსახლეობის აღწერა, რისი რეალური შესაძლებლობაც ამ რეგიონში არ არსებობს. ამიტომ ამ თვალსაზრისით სრული სურათის წარმოჩენა შეუძლებელია.

XX საუკუნის მანძილზე საქართველოში მოსახლეობის რამდენიმე აღწერა ჩატარდა. პირველი აღწერა ჩატარდა 1926 წელს. იმდორისათვის ქვეყნაში მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენდა 2 666 494 მცხოვრებს [საქართველოს სტატისტიკის..., საფონდო მასალები]. მათგან ყოფ. სამხრეთ ოსეთის ოლქზე მოდიოდა მხოლოდ 3,2 % (87 375 მცხ.). მართალია, შემდგომ წლებში გაიზარდა მოსახლეობის საერთო რაოდენობა (98

000 მცხ.), თუმცა შემცირდა მათი წილი საქართველოს მოსახელობის საერთო რაო-დენობაში (1,9 %-მდე).

XX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო სამხრეთ ოსეთის სოფლის მოსახლეობის გარესამუშაოებზე წასვლის პროცესი, თანდათან ძლიერდებოდა რეგიონის მოსახლეობის ნაწილის ემიგრაცია საქართველოს სხვადასხვა მხარეებში და აგრეთვე მის ფარგლებს გარეთაც. საბჭოთა წლებში საკვლევი ტერიტორიის მთიანი სოფლებიდან ხდებოდა მოსახლეობის ბარად გადასვლა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ დროებით მიდიოდა გარესამუშაოებზე, ხოლო მოგვიანებით ზოგიერთი მათგანი სამუდამოდ ტოვებდა მაღალმთიანი სოფლებს. ამ პროცესებმა თავისებური გავლენა მოახდინა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაზე. 1926წ-დან 1939წ-მდე ოლქის მოსახლეობა გაიზარდა დაახლოებით 18 500 კაცით, ხოლო მისი ხვედრითი წილი რესპუბლიკის მოსახლეობაში შემცირდა. 1926-1939 წლებში მოსახლეობის მატებას, ხოლო 1939-1959 წლებში კი პირიქით კლებას ადგილი ჰქონდა როგორც მთლიანად სამხრეთ ოსეთში, ისე მის ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონებში.(ცხინვალის რაიონის გარდა) . სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის ხვედრითი წილის თანდათანბითი შემცირება საქართველოს მოსახლეობაში გამოწვეული იყო პირველ რიგში იმით რომ,ამ პერიოდში მოსახლეობის ზრდის ტემპი მთლიანად საქართველოში უფრო მაღალი იყო,ვიდრე სამხრეთ ოსეთში, მეორეც სამხეთ ოსეთის მაღალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობის გადასვლა ხდებოდა ოლქის ფარგლებს გარეთ. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ ამ პერიოდში სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის მექანიკურ მოძრაობას უარყოფითი ბალანსი ჰქონდა, ხოლო საქართველოში-დადებითი. 30 წლის (1926-1956წ)განმავლობაში ოლქის მოსახლეობა გაიზარდა 12%-ით,აქედან სოფლის მოსახლეობა 6.1%-ით. თუმცა ამ მაჩვენებლით ჩამორჩება მთლიანად რესპუბლიკას, რაც გამოწვეულია ძირითადად ამ პერიოდში სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ქალაქებში გადასვლასთან,აგრეთვე ოლქის მცირემიწიანი მთიანი რაიონებიდან მოსახლეობის ბარის ზონაში გადანაცვლებით. ამ მიზეზების გარდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის შემცირება გამოწვეულია აგრეთვე იმით რომ ოლქში

არ იყო განვითარებული მრეწველობა და საქალაქო ცხოვრება.მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა ოლქში არ იყო დაბალი, განსაკუთრებით სიკვდილიანობის შემცირების შემდეგ. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სამხრეთ ოსეთი გამოირჩეოდა საქართველოში 100 წლის ასაკს გადაცილებული მოსახლეობის დიდი რაოდენობით. მოსახლეობის ეროვნული შემადგენილობის მხრივ, ოლქი საკმაო სიჭრელით ხასიათდება. აქ ცხოვრობენ ოსები, ქართველები, ებრაელები რუსები, უკრაინელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები [კვერენჩხილაძე,1968, გვ 67-75].

მთელი XX საუკუნის მანძილზე მოსახლეობის ძირითადი ნაწილი რეგიონის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდა (ნახ.1.7.). ამასთან ჩრდილოეთ ნაწილში უმთავრესად მცირეკომლიანი სოფლებია. ეს ვითარება ფაქტობრივად დღესაცაა შენარჩუნებული, თუმცა შეცვლილია მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა. კერძოდ, თუ XX საუკუნის დასაწყისში ოსების უდიდესი ნაწილი ცხოვრობდა რეგიონის ჩრდილოეთ, შედარებით მაღალ ჰიფსომეტრიულ ზოლში, 1970-იან წლებში მათმა რაოდენობამ უფრო სამხრეთ რაიონებშიც იმატა. ეს უპირველესად იმ მიგრაციული პროცესებით (მთიდან ბარისაკენ, სოფლიდან ქალაქისაკენ, პატარა სოფლიდან დიდი სოფლისაკენ) იყო განპირობებული, რაც ზოგადად, მთელი საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული ოლქში ვითარდებოდა მრეწველობა,



ნახ.1.7. ცხინვალის რეგიონის დასახლებული პუნქტები

რამაც განაპირობა რუსი და უკრაინელი მოსახლეობის გაჩენა.ამ პერიოდში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე იყო 1 კმ²-ზე 25 კაცი, მაშინ როცა სიმჭიდროვე დამუშავებული ფართობის 1კმ²-ზე 280კაცს აღწევდა. რეგიონის სხვადასხვა ნაწილში მოსახლეობის სიმჭიდროვე განსხვავებული იყო. შედარებით უფრო დასახლებული და მეურნეობრივადაც უფრო ათვისებული სამხრეთ ნაწილი იყო (1 კმ²-ზე 70-80 კაცი). ნაკლებად იყო დასახლებული ჩრდილოეთ ნაწილი (ჯავის რაიონში საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 7 კაცს არ აღემატებოდა). ქართველები უმეტესად რეგიონის სამხრეთ ნაწილში სახლობდნენ. საქალაქო ცენტრებში ცხოვრობდნენ რუსები, სომხები, ქართველი ებრაელები [სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი].

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით ქვეყანაში 4 601 500 მცხოვრებია, ხოლო 2014 წლის აღწერით _ 3 787 000 მცხ. [საქართველოს სტატისტიკის..., ინტერნეტრესურსი]. ცხადია, ამ მონაცემებში არ შედის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა რაოდენობა. თუ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მონაცემებს გავითვალისწინებთ, მაშინ ეს ციფრი 3840559-მდე გაიზრდება. დღეისათვის საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, კერძოდ, ცხინვალის რეგიონში 300-ზე მეტი სოფელია [Итоги всеобщей..., 2015].

რეგიონის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ოსი ეროვნების ადამიანები შეადგენენ, შემდეგ მოდის ქართველები, რუსები, უკრაინელები და სხვა.

სამხრეთ ოსეთის ოფიციალური მონაცემებით, 2008 წლის აგვისტოს ომამდე, რეგიონში ცხოვრობდა 72 000 ადამიანი, მათ შორის ცხინვალში _ 30 000. აგვისტოს მოვლენების შემდეგ 2009 წელს მოსახლეობა იყო დაახლოებით 50 000 ადამიანი. 2012 წლის „შინამეურნეობების კვლევის“ (Итоги переписи Южной Осетии за 2015 год) თანახმად, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა იყო 51 572 ადამიანი, რომელთაგან 28 664 ადამიანი ცხინვალშია. ოსები მოსახლეობის 89.1%-ს, ქართველები -8.9%, რუსები-1%, სხვა ეროვნების წარმომადგენლები -1%-ს შეადგენდნენ.

2015 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, ე.წ.სამხრეთ ოსეთის[1] მოსახლეობა 53 559 ადამიანია, მათ შორის 35 055 ურბანული მაცხოვრებელი და 18 504 სოფლის მაცხოვრებელი (В Южной Осетии происходит прирост населения).

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემების მიხედვით, აგვისტოს კონფლიქტის შედეგად სულ 163 ათასი იძულებით ადგილნაცვალი პირი იყო რეგისტრირებული. მათ შორის 36 ათასი ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა და 2008 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით მათი დიდი უმრავლესობა უკან დაბრუნდა. დანარჩენი 127 ათასი დევნილიდან, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გადანაწილდა, 2008 წლის სექტემბრის მდგომარეობით 68 ათასი რუსული ჯარების მიერ კონფლიქტის გარეთ საქართველოს ტერიტორიების დატოვების შემდეგ უკან დაბრუნდა. დღეისათვის ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობა დაახლოებით 26 000 ადამიანს შეადგენს და ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არიან გადანაწილებულნი.

1.8.მეურნეობა

ცხინვალის რეგიონის დარგობრივი სტრუქტურა და მისი სპეციალიზაცია უპირველესად განპირობებულია ბუნებრივი რესურსების (სასარგებლო წიაღისეულის, მინერალური წყაროების, ტყისა და მიწის რესურსების) ტერიტორიული განაწილების თავისებურებებით. ფერადი ლითონებისა და სამშენებლო მასალების საბადოების სიუხვემ განაპირობა მრეწველობის რიგი დარგების განვითარება. ვერტიკალურ ზონალობას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის სხვადასხვა კატეგორიის მიწების ტერიტორიულ განლაგებაში და ამ მთაგორიანი მხარის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

[1] პირობითი სახელი რეგიონისა,რომელიც მოიცავს ყოფილი საქართველოს სსრ-ს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას.(1922-1990წწ)

ისიც აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებამ სრულიად შეცვალეს რეგიონში არსებული სამეურნეო სტრუქტურა და მოარღვია მეურნეობის ტრადიციული დარგები.

საბჭოთა პერიოდში ყოფ. სამხრეთ ოსეთის აო-ში დაწინაურებული იყო მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. რეგიონის სამეურნეო სპეციალიზაცია გამოიხატებოდა ისეთი დარგების განვითარებით, როგორიცაა სამთო-მოპოვებითი, ლითონდამუშავება და საშენ მასალათა წარმოება, მსუბუქი და კვების მრეწველობა, მეცხოველეობა, მეხილეობა. მრეწველობის პროდუქციის დიდი ნაწილი რეგიონის ფარგლებს გარეთ იგზავნებოდა.

საბჭოთა პერიოდში დანერგილი იყო ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა _ შაქრის ჭარხალი. სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მეცხოველეობამ, კერძოდ მეცხვარეობამ ჩრდილოეთ ნაწილში. რეგიონისთვის დიდი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა რკინიგზის ხაზის გაყვანას, რის შედეგადაც რეგიონის ცენტრი ცხინვალი უმოკლესი გზით დაუკავშირდა საქართველოს სარკინიგზო ქსელს. რკინიგზის გაყვანით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რეგიონის ეკონომიური განვითარების პირობები. ტვირთგაცვლით იგი დაკავშირებული იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებთან, მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებთან.

რეგიონიდან გაჰქონდათ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მინერალური ნედლეული, ხოლო შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი.

ის, რომ რეგიონის ტერიტორიისთვის დამახასიათებელია მცირე ატმოსფერული ნალექები, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის მორწყვას. ამიტომ გაყვანილ იქნა რამდენიმე სარწყავი სისტემა (კეხვის, ვანათის, ტირიფონის და სხვ.). სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უკავია მეხილეობას (ძირითადად ვაშლი, მსხალი, ქლიავი), მევენახეობას (გავრცელებული ჯიშებია: გორული მწვანე, ჩინური, თავკვერი, რქაწითელი, საფერავი, ციცქა და სხვ.), მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მეცხვარეობა, მეღორეობა და სხვა),

მეფუტკრეობას და სხვა. რეგიონში საბჭოთა პერიოდში მრეწველობის რიგი დარგების აღმოცენება ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის ათვისება-გამოყენებასთან იყო დაკავშირებული. ეს დარგებია: სამთო-მოპოვებითი, ხე-ტყის, კვების, საშენ მასალათა და სხვა. ადგილობრივი რესურსების ბაზაზე ამუშავდა ისეთი საწარმოები როგორიცაა კრამიტის, აგურის, კირის, მინერა-ლური წყლების ჩამოსახმელი ქარხნები და სხვა. წიაღისეულის ათვისების შედეგად შეიქმნა ქვაისის ტყვია-თუთიის მადნის მოპოვების და გამდიდრების საწარმო, აგრეთვე წნელისის ტალკის ქარხანა. ამუშავდა ცხინვალის და კეხვის ჰიდროელექტრო სადგურები. რეგიონის ტერიტორიაზე გაიყვანეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და რეგიონი ჩართული იქნა საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში. მიუხე-დავად იმისა, რომ რეგიონის მრეწველობა სწრაფად იზრდებოდა წამყვან ადგილს ეკონომიკაში კვლავ სოფლის მეურნეობა იკავებდა.

დღევანდელი ვითარება მნიშვნელოვნადაა შეცვლილი და მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია, რაც გამოწვეულია 2008 წლის აგვისტოს ომით. რეგიონის უმსხვილესი საწარმოებია: Vibromashina, სამშენებლო პროდუქციის ქარხანა, Emalprovod ქარხანა, ხის გადამამუშავებელი ქარხანა, BTK 4 სამკერვალო ფაბრიკა, Altuton ლუდსახარში, Rastdo ხორცის გადამამუშავებელი ქარხანა და სხვა.

ქარხანა „ვიბრომაშინა“- დაარსდა 1958 წელს. ამჟამად, ქარხანა რთულ მდგომარე-ობაშია და მცირე რაოდენობით ახორციელებს ლითონის კონსტრუქციების (ღობეების, ნაგვის არხების, ნაგვის კონტეინერების და ა.შ.) წარმოებას.

ქარხანა „ემალპროვოდი“ დაარსდა 1958 წელს. საბჭოთა პერიოდში ქარხანა კავკასიაში მხოლოდ მინანქრის მწარმოებელი იყო. სამხრეთ ოსეთში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა, რომლის პროდუქციაა _ მინანქრის მავთულები, საკისრები, ხის პროდუქცია, პლასტმასის ფანჯრები, LED ნათურები.

სამკერვალო ფაბრიკა BTK 4 დაარსდა 1962 წელს. ის აწარმოებს ბამბის, ქალთა, ბავშვთა და სამუშაო ტანსაცმელს, ასევე თეთრეული. რეგიონში კვების მრეწველობაში ახალგორში „ალტუტონი“, „ბაგიტების ქარხანა“, „ცხინვალში „ლუდსახარში“ და თონეები

წარმოადგენენ. ალტუტონი აწარმოებს სამი სახის ლუდს - ალოტონს, ჟიგულევსკის და ჩარლზ ბრიჯს. დიდი ხორცის გადამამუშავებელი ქარხანა Rastdon 2017 წლის გაზაფხულზე გაიხსნა. აწარმოებს ქათმის, ძროხის, ღორის ხორცისაგან დამზადებულ ძეხვს.

სატრანსპორტო საშუალებებიდან მნიშვნელოვანია საავტომობილო ტრანსპორტი. მთავარი სატრანსპორტო არტერია არის ამიერკავკასიის ავტომაგისტრალი სამხრეთ ოსეთის რუსეთთან და საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთთან. ყველა იმპორტი და ექსპორტი ექსკლუზიურად ხდება ამ გზის გასწვრივ.სარემონტო სამუშაოებზე ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ტრანკასა და როკის გვირაბზე. 2009 წელს როკის გვირაბს ჩაუტარეს კაპიტალური რემონტი. მოახდინეს თაღოვანი გამაგრებულა, ასევე სრულად აღადგინეს სავენტილაციო და გათბობის სისტემები, ასევე განათება. 2009 წელს, გზატკეცილი აშენდა ახალგორის რაიონში, რომელიც ადრე საქართველოს სატრანსპორტო ბლოკადაში მდებარეობდა. აშენდა ახალი ცხინვალი-ახალგორის გზაც. აგრეთვე გაყვანილ იქნა რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის სარკინიგზო ხაზი.

თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში არსებობს ორი მსხვილი საავიაციო ფრენები: ცხინვალ-ვლადიკავკაზი და ცხინვალ-ნალჩიკი.2011 წელს დაგეგმილი იყო ფრენების გახსნა მოსკოვის, პიატიგორსკის, ვოლგოგრადის, მინდოდის, როსტოვის, ასევე აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში.

2008 წლის აგვისტომდე აგარა-ცხინვალის მილსადენით გაზის მიწოდება ხორციელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. აგვისტოში მიწოდება შეწყდა.ხოლო 2009 წლის 26 აგვისტოს, ძუარიკო-ცხინვალის გაზსადენი გაიხსნა. ის რუსეთთან და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირ კავშირში იყო და უპრობლემოდ და უწყვეტად აწვდის გაზს ცხინვალის რეგიონს [Газопровод Дзуарикау-Цхинвал].

დღეისათვის რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია, ვინაიდან საკვლევი ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

თავი II. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დემოგრაფიული ვითარების ცვლილებები

2.1. ადმინისტრაციული მოწყობა ძველ საქართველოში

ქვეყნის ადმინსიტრაციული მოწყობა იცვლებოდა მთელი ისტორიის განმავლობაში. ეს ცვლილებები განპირობებული იყო პოლიტიკური ვითარებითა და ხელისუფლების გადაწყვეტილებებით.

ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორია ფეოდალურ ეპოქაში **სადროშოებად** იყო დაყოფილი. ეს ყველაზე მსხვილი ადმინსიტრაციული ერთეული იყო, თუმცა მას მარტო ეს ფუნქცია როდი ჰქონდა. რეალურად სადროშოები სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები იყო და ქმნიდნენ დამოუკიდებელ სამხედრო-ტაქტიკურ შენაერთებს (ლოკაციით, დროშით, სარდლისადმი დაქვემდებარებით) [კლიმიაშვილი, 1964].

XI-XV საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე 4 სადროშო იყო. შიდა ქართლი მემარცხენე სადროშოში შედიოდა. ეს მსხვილი სადროშოები, თვის მხრივ, კიდევ იყოფოდა მცირე სადროშოებად. ბრძოლების დროს თითოეულ სადროშოს თავისი სამხედრო-ტაქტიკური ფუნქცია ჰქონდა. როგორც წესი, მეფის სადროშო ჩაებმებოდა ბრძოლაში, თუ ამის საჭიროება გაჩნდებოდა. მემარცხენე სადროშოში შედიოდა სამუხრანბატონო ქსნისა და არაგვის ერისთავობით და მათ სათავეში მუხრანბატონები იყვნენ [ცენტრალური და ადგილობრივი..., 2017].

საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ მოხდა გარკვეული ცვლილებები ადმინისტრაციულ მოწყობაში. მათ შორის შიდა ქართლის ტერიტორიაც კიდევ რამდენიმე სადროშოდ დაიყო.

უფრო დაბალი დონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო **თემი,** რომელიც ქართულ წერილობით ძეგლებში პირველად XI საუკუნეში მოიხსენიება. თემი მხოლოდ ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო და მას

არანაირი სამხედრო დატვირთვა არ ჰქონდა [თოფჩიშვილი, 2010]. თემი აღნიშნავდა აგრეთვე ერთ რომელიმე ხეობას, მაგალითად, ლიახვისა და ქსნის ხეობები, რომელიც მარტო გეოგრაფიული ტერმინები არ არის და მათ ისტორიულ-ეთნოგრაფიული დატვირთვაც აქვს. თავის მხრივ, ეს თემებიც იყოფოდა უფრო მცირე ზომის თემებად.

თემი რამდენიმე სოფლის გაერთიანება იყო, რომელსაც საკუთარი „თემის ხატი“ ჰყავდა, ჰქონდა კოლექტიური პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და ეკლესიის წინაშე, იღებდა სამართლებრივ გადაწყვეტილებებს, ევალებოდა გზების დაცვა და მოვლა-პატრონობა, ჰქონდა საერთო სარგებლობის ტყე, სათიბი, საძოვარი, სახნავი მიწები.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ [ჯავახიშვილი, 1923] საქართველოს მთელი ტერიტორია დაყოფილია თემებად. ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე დატანილია: გვერდის ძირი, მაღრან-დვალეთი, სავახტანგო, საცხავატო, ჟამური, ქნოღო, ქსნის ხეობა, ცხრაძმა, ჭურთა, ხეფინის ხევი. ყველა ეს თემი შიდა ქართლის ფარგლებშია. ასევე შიდა ქართლის ფარგლებშია მოქცეული **დვალეთი**. ამჟამად იგი ჩრდილოეთ კავკასიაშია (ჩრდილოეთი ოსეთი _ ალანია).

დვალების შესახებ წერდნენ ჯერ კიდევ ახ.წ. I საუკუნეში პტოლომეოსი და პლინიუსი. მათი ცნობებით, ისინი განსახლებულნი იყვნენ კავკასიონის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ ფერდობზე, მამისონის მთის პირიქითა მდინარე კასრას ხეობაში, დარიალის დასავლეთით სვანეთის კავკასიამდე, ფართოდ გაშლილ თაფობზე. ვახუშტი ბატონიშვილი დვალეთის გეოგრაფიულ მდებარეობას ასე განსაზღვრავს: „*ხოლო სიგრძე ამისა ქვეყნისა არის ხევიდამ სუანეთის კავკასამდე და განი ქართლის კავკასიდამ ჩერქეზეთის მთამდე*“ [ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 635].

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით კი „*დვალეთი კავკასიონის უღელტეხილის მთავარსა და პირიქელ ქედებს შუა მოქცეული საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა იყო*“. დვალეთის საზღვარი ჩრდილოეთით ხოხის მთა, ხაზი მიდის აღმოსავლეთით-სამხრეთისკენ არხოტამდე,ხოლო დასავლეთით ამავე ხოხის მთის მწვერვალითგან ხაზი სამხრეთისკენ მიდის და ქედ-ქედ მიუყვება მწვერვალ ყაზი-ხოხამდე. შემდეგ სამხრეთი საზღვარი იწყება ამ ადგილთან და მიუყვება

საუხოხზე, ხალიწაზე, ზეკარზე,ბრუტსაბძელზე,ხოხზე, შემდეგ როქზე არხონამდე. [ჯავახიშვილი, 1919, გვ. 69].



ნახ. 2.1. შიდა ქართლი ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიული რუკის“ [1923 წ.] მიხედვით (ფრაგმენტი)

დვალეთი მოიცავს კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს, დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს დვალეთის ხევები: კასრის-ხევი, ზრამაგა, ჟღელე,ნარა,ზროგო, ზახა,თრუსი მაღრან-დვალეთი. ეს ტერიტორია იბერიის სამეფოს წარმოშობის (ძვ.წ.IV--ძვ.წ.III სს) დროი-დან შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. თუმცა ამ საზღვარს განსაკუთრებული ყურადღება XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის დროს მიექცა და პოლიტიკურადაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართველობამ. საქართველოს პოლიტიკურად დაუძლურების

დროსაც კი XVIII საუკნეშიც დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა. ვახტანგ VI იყო მეფე, რომელმაც 1711 წელს ჯართან ერთად შემოიარა ჩრდილოეთი საზღვრის ეს კუთხე და შევიდა შიგ. „*ჩავლო ზრამაგი და შემოვლო ჟღელის-ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული*“ [ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება 118]. ძველად ამ კუთხეს საქართველოსთან პოლიტიკურს გარდა კულტურული და სარწმუნოებრივი კავშირიც ჰქონდა. ცნობილია, რომ VI საუკუნის შუაწლებიდან დვალეთში ქრისტიანობა გავრცელდა. შემდგომში იგი ნიქოზის საეპისკოპოსო ეპარქიაში შედიოდა. დვალეთზე გადიოდა ამიერკავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი გზა, შუა საუკუნეებში ატარებდა სახელწოდებას „გზა დვალეთისა“, შემდგომში მოიხსენიება როგორც „ოსეთის სამხედრო გზა“. ამ მხარეს საქართველოსთვის მნიშვნელოვან კარად თვლიდნენ და ამის გამო მდ. არდონის გასასვლელთან ზღუდეც კი აუგიათ.

მამისონის გზისპირა დვალეთის თითქმის ყველა სოფელში შემორჩენილი იყო მშრალი წყობის ნაშენი სვანური ტიპის ციხე-კოშკები. დაკვირვება რაჭისა და ისტორიულ დვალეთში შემორჩენილ ციხე-სიმაგრეთა ნაშთებზე ცხადყოფს, რომ მათი განლაგება კარგად მოფიქრებული და კანონზომიერად გადაწყვეტილი ყოფილა. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას რაჭა-დვალეთის თავდაცვით და საბრძოლო სიმაგრეთა ერთიან სისტემაზე, რომელიც წარსულში ერთბურჯადშეკრულ და მტრისთვის გადაულახავ ზღუდედ ყოფილა აღმართული [ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973].

„ოსთა კომპლექტური მოსახლეობა კავკასიათა შინა“ ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოიქმნა მონღოლებისა და თემურ ლენგის შემოსევების შედეგად XIII-XIV საუკუნეებში, საბოლოოდ გაფორმდა XV საუკუნეში [თოგოშვილი,1969]. ამავე პერიოდში ე.წ. ოსეთის სამხედრო გზამ დიდი როლი შეასრულა ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსური ტომების საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებაში. სწორედ ამ გზის მიდამოებში ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ახალშენებს.

1801 წელს, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო შეუერთდა რუსეთის იმპერიას, დვალეთი მის საზღვრებში შედიოდა. 1856-60-იან წლებში კავკასიის მეფისნაცვალმა ა.ბარიატინსკიმ დვალეთი მოწყვიტა საქართველოს და ოსეთს შეუერთა [სპ. რეხვიაშვილი, „მთის რაჭველ და დვალ მთიელთა ძმობა“,გაზ. „რაეო“, 1999 წ. აპრილი]. ხოლო 1921 წელს რეგიონი საქართველოს ჩამოაჭრეს და რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას გადასცეს.

საბოლოოდ, ამ კუთხის ბუნებრივ აგებულებასა და თვისებას თუ დავაკვირდებით, ცხადი იქნება, რომ იგი საქართველოსთან სხვადასხვა გზებით, 11 გადასასვლელით არის დაკავშირებული, როგორც აღმოსავლეთთან ისე დასავლეთთან, ხოლო ჩრდილო-ეთთან მხოლოდ ერთი გადასასვლელი აერთიანებს. ამ მოსაზრებების გამო უფრო ბუ-ნებრივია და ხელსაყრელი რომ დვალეთი საქართველოს დაუბრუნდეს და წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგეს. ამ შემთხვევაში საქართველოს საზღვარი გაჰყვებოდა ხაზს, რომელიც ხოხის მთას და არხოტის მთას შუა გაივლება [ჯავახიშვილი,1919].

საქართველოში ადმინისტრაციული მოწყობის სახეები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქვეყნის ადმინისტრაციულ ტერი-ტორიული მოწყობა რუსეთის ინტერესების შესაბამისად მოხდა. მთელს კავკასიას იმპერატორის მიერ დანიშნული მთავარმართებელი მართავდა (შემდგომ მეფისნაცვა-ლი), თვითონ კავკასია კი, ისევე როგორც რუსეთი, გუბერნიებად იყო დაყოფილი. გუბერნიები, თავის მხრივ, მაზრებად იყოფოდა. გარდა ამისა, ზოგიერთ ტერიტორი-აზე, რომლებიც შედარებით გვიან იქნა რუსეთის მიერ დაპყრობილი, გუბერნიების ნაცვლად ოლქები ჩამოყალიბდა. გუბერნიების იმ ნაწილში, სადაც ეროვნული და რელიგიური უმცირესობები ჭარბობდნენ, მაზრების ნაცვლად ოლქები / ოკრუგები შეიქმნა და ისინი გუბერნიის განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენდნენ.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი თბილისის და ქუთაისის გუბერნიების საზღვრებში იყო მოქცეული. თბილისის გუბერნიაში შედიოდა: თბილისის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, დუშეთის, თიანეთის, თელავის და სიღნაღის მაზრები და ზაქათალის ოკრუგი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში _ ქუთაისის, შორაპნის, სენაკის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ლეჩხუმის და რაჭის მაზრები, სოხუმის, ბათუმის და ართვინის ოკრუგები. გარდა ამისა, საქართველოს 33ტერიტორიის ნაწილი ყარსის ოლქში იყო შეყვანილი და ოლთისის და არტაანის ოკრუგები შეადგენდა. მაზრებში შემავალი სოფლები გაერთიანებული იყვნენ სასოფლო საზოგადოებებში. მაზრის შემადგენლობაში ასევე იყვნენ ქალაქები, რომლებიც მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდნენ.

ნახ. 2.2. ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული მოწყობა



XIX საუკუნის ბოლოსათვის

მაზრები და საპოლიციო უბნები

გორის მაზრა: 13 _ ბორჯომის, 14 _ მეჯვრისხევის, 15 _ სურამის, 16 _ ხიდისთავის, 17 _ ცხინვალის; დუშეთის მაზრა: ბაზალეთის, მცხეთის, ქსნის, ქვეშეთის.

მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები, ქართველი, რუსი და უცხოელი ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალები ცხადჰყოფენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1802 წელს რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონის ტერიტორია ორ ნაწილად გაჰყო _ გორისა და დუშეთის მაზრებად (ნახ. 2.2). იმ პერიოდში, ცხინვალის რეგიონის ზოგიერთი მაღალმთიანი სოფელი (ყორნისი, ტბეთი, კუსირეთი, გუდისი, ფოტრისი, ჩვრისი, მღვრისი, სათიხარი, კულბითი, ხრომისწყარო, ჟამური და სხვ.) კომპაქტურად ყოფილა ოსებით დასახლებული, ხოლო ზოგიერთში (ძვილეთი, სვერი, ერედვი, კორდი, დიცი, აწერისხევი, ჩარები, სნეკვი, ბელოთი, საცხენისი, ვანათი, ვარძიაანთკარი, მერეთი, კარბი, არბიო და სხვ.) შერეული, ქართული და ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა [ან.თოთაძე,ოსები საქართველოში: მითი და რეალობა. კვლევა. კავშირი "იბერიანი"].

მაღალმთიანი ზოლისგან განსხვავებით, ცხინვალის რეგიონის მთისწინეთი და დაბლობი ზოლი თითქმის მთლიანად ქართულ მოსახლეობას ჰქონდა ათვისებული. ქალაქებსა და დაბებში _ ცხინვალი, ახალგორი, ჯავა _ ქართველების გარდა, ცხოვრობ-დნენ ებრაელები და სომხები. გენერალი კარლ კნორინგის საიმპერატორო კარისადმი შედგენილ ანგარიშში (1802 წ.) ცხინვალის რეგიონის მაღალმთიანი მხარეები, სადაც ოსური მოსახლეობა ჭარბობდა, ოსეთად აქვს მოხსენიებული (Осетия), ხოლო დანარ-ჩენ, ძირითადად ქართველებით დასახლებული ტერიტორია კი _ საქართველოდ (Грузия). მოგვიანებით, 1840 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერი-ტორია ახალ ადმინისტრაციულ ერთეულში _ საქართველო-იმერეთის გუბერნიაში გაერთიანდა.

უკვე XIX საუკუნეში ნელ-ნელა ეყრებოდა საფუძველი სამხრეთ ოსეთის ავტონო-მიური ოლქის ჩამოყალიბებას. ცხინვალის რეგიონი გორის მაზრის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ცოტა მოგვიანებით, 1842 წელს გორის მაზრის შემადგენლობიდან გამოიყო ე.წ. „ოსეთის ოკრუგი", რომელიც მოიცავდა ცხინვალის რეგიონის ოსებით დასახლე-

ბულ მაღალმთიან ზოლს, კერძოდ, ნარის (ისტორიული დვალეთი), ჯავისა და ლიახ-ვის თემებს. „ოსეთი“, როგორც სახელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეუ-ლისა, პირველად სწორედ ამ დროს გამოჩნდა.

1858 წელს ოსეთის ოკრუგი გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით, დვალეთი (ნარის უბანი) კი თერგის ოლქს გადაეცა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცხინვალის რეგიონში ჩრდილოკავკასიელი ოსების გადმოსახლებამ დიდ მასშტაბებს მიაღწია. ოსური მოსახლეობის მკვეთრმა გაზრდამ ცხინვალის რეგიონში დაარღვია ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნო-დემოგრაფი-ული ბალანსი. ამას დაემატა საქართველოში განხორციელებული მრავალმხრივი იმპერიული რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგები, რის შედეგადაც, ისტორიული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ახლადგადმოსახლებული ოსების ინტეგრაცია ხდებო-და არა ქართულ, არამედ რუსულ სამხედრო-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-ენობრივ სივრცეში. ამას შედეგად მოჰყვა ცხინვალის რეგიონში მო-სახლე ქართული და ოსური მოსახლეობის გაუცხოვება, რასაც ხშირად თან სდევდა შე-იარაღებული შეტაკებები.

2.2.ადმინისტრაციული მოწყობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის პერიოდში

1922 წელს საქართველოს სსრ შემადგენლობაში შეიქმნა შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში კომპაქტურად მცხოვრები ოსების ეთნიკურ-პოლიტიკური ავტონომიური ტერიტორიული ერთეული (ოლქი). ეს გადაწყვეტილება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისრების საბჭოს მიერ №2 დეკრეტით იქნა მიღებული. ამ დროისათვის მისი ფართობი შეადგენდა 3.8 ათასი კმ²-ს (საქართველოს ტერტორიის 5.4%), მოსახლეობა 97.4 ათასი კაცი, ადმინისტარციული ცენტრი _ ქ.ცხინვალი. სამხრეთ ოსეთში შედიოდა 4 ადმინისტრაციული რაიონი: ჯავის, ცხინვალის, ზნაურისა და ლენინგორის (ახალგორი).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს შენარჩუნდა მეფის რუსეთის დროს დამყარებული ტერიტორიული მოწყობა და 1919 წელს იმავე ტერიტორიულ ერთეულებში ჩატარდა მაზრების და ოთხი დიდი ქალაქის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც 1921 წელს იყო მიღებული, ხელახლა განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა. საქართველო იყოფოდა 19 ერთეულად – 18 ოლქი და დედაქალაქი თბილისი. ოლქები ძირითადად ემთხვეოდა ყოფილი მაზრების საზღვრებს მცირეოდენი შესწორებით. კერძოდ, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები ერთიანდებოდა ახალციხის ოლქად, დუშეთის და თიანეთის მაზრები – ანანურის ოლქად, ოლთისის და არტაანის ოკრუგები – არტაანის ოლქად. ასევე იქმნებოდა სამი ავტონომიური ერთეული: აფხაზეთის (სოხუმის) ავტონომიური ოლქი; სამუსლიმანო საქართველო (ბათუმის მხარე) და ზაქათალას ოლქი. კონსტიტუციით განსაზღვრული დაყოფა ვერ განხორციელდა, რადგან მისი მიღებიდან 4 დღეში მოხდა საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ.

1920 წელს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ივანე ჯავახიშვილი, ექთიმე თაყაიშვილი, ილია ოდიშელიძე და პავლე ინგოროყვა მიიწვია მეზობელ სომხეთთან და აზერბაიჯანთან საზღვრების გამომრკვევი კომისიაში სამუშაოდ [ჯანელიძე, 1996, გვ. 20]. პირველად ეს საკითხი 1919 წლის 3 ივლისს განიხილა. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ოსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი ჰქონდათ ერთი მთლიანი ოსეთის სახელმწიფოს შექმნის, რომელიც შესდგება სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის შეერთებით და ეს მომავალში რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას უნდა შეუერთდესო. მაგრამ ჯერჯერობით რადგანაც შეუძლებელია დღესდღეობით ამგვარი სახელმწიფოს შექმნა, ისინი სთხოვდნენ კომისიას საქართველოს საზღვრებში ოსეთისათვის მიეცათ პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტში („ოსი მცხოვრებლებით დასახლებულ სოფლის საზოგადოებების ცალკე მაზრად გამოყოფის თაობაზე“) განსაზღვრული იყო შორაპნის, რაჭისა და გორის მაზრების იმ დასახლებულ პუნქტების ჩამონათვალი, რომელთა გაერთიანებით უნდა დაარსებულიყო ახალი ადმინისტრაციული ერთეული _ „ჯავის მაზრა“ [ჯანელიძე, 2007, გვ. 9; ჯანელიძე, 2018, გვ. 63]. მაგრამ ამ მოსაზრებას წინ აღუდგნენ კომისიის წევრები და მოთხოვნები სამართლიანად არ დაკმაყოფილდა.

ჩამოყალიბდა საუწყებათშორისო კომისია, სადაც შევიდა აგრეთვე ანდრია ბენაშვილი. კომისიას დაევალა შორაპნის, რაჭის, დუშეთისა და გორის მაზრების ეთნოგრაფიული რუკის შედგენა.

საარქივო დოკუმენტებში შემორჩენილია რუკები, სადაც ასახულია სამხრეთ ოსეთის მაზრისათვის სავარუდოდ რა ტერიტორიის გამოყოფა იგეგმებოდა და რა

ადმინისტრაციული ერთეულებით (ნახ. 2.3). როგორც 5-ვერსიანი რუკის ამ ვარიანტიდან ჩანს, ეს სავარაუდო ტერიტორია გაცილებით უფრო პატარა უნდა ყოფილიყო, ვიდრე შემდგომ, საბჭოთა პერიოდში რეალურად სამხრეთ ოსეთის აო-მ „მოიპოვა“.



ნახ. 2.3. სამხრეთ ოსეთის მაზრის სავარაუდო საზღვრები

ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში შემოიღეს ისეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც საქართველოში წარსულში არსებობდა, ჯერ კიდევ მანამდე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდებოდა იგი. თუმცა ეს მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, ვინაიდანა სამაზრო დაყოფა ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი. მხედველობაში გვაქვს თემები, რომლებიც სოფლის საზოგადოებების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, საქართველოს ტერიტორიული მოწყობა შეიცვალა. იმდროინდელ ლიტერატურაში იწერებოდა, რომ რევოლუციამდელი ადმინისტრაციული მოწყობა არ შეესაბამება ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანებსა და მოთხოვნებსო. საბჭოთა იდეოლოგია ახალ ადმინისტრაციულ მოწყობაზე გადასვლას იმით ხსნიდნენ, რომ მეფის რუსეთის დროინდელი დაყოფა არ იღებდა მხედველობაში სამეურნეო-კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ნაციონალურ ერთგვაროვნებას [საქართველოს სსრ ადმინისტარციული..., 1930].

საბჭოთა პერიოდში მთავარი აქცენტი კეთდებოდა ნაცუმცირესობათა მომსახურეობის გაუმჯობესებისათვის და მიაჩნდათ, რომ ეს იყო თვითგამორკვევის საფუძვლების ორგანიზაციული გაფორმება. მიგვაჩნია, რომ ეს არასწორი მიდგომა იყო, ვინაიდან იგი ქმნიდა დაძაბვის პოტენციურ კერებს. სწორედ ეთნიკური გამიჯვნის ნიშნის მიხედვით, 1922 წელს მოხდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა. მთავარი ტენდენცია კი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების გამსხვილება იყო.



ნახ.2.4. ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული დაყოფა(სასოფლო საბჭოები)

საქართველო დაიყო უფრო მცირე რაოდენობის ადმინისტრაციულ ერთეულებად _ რაიონებად. რაიონებად დაყოფა 1930 წელს განხორციელდა. მათი რიცხვი 60-ზე მეტი იყო. ასეთი წვრილი დაყოფა, მოსახლეობაზე და მეურნეობაზე მკაცრი კონტროლის განსახორციელებლად გაკეთდა.

1950-იან წლების დასაწყისში შეიქმნა თბილისის და ქუთაისის ოლქები. პირველში გაერთიანდა მთელი აღმოსავლეთი საქართველო (სამხრეთ ოსეთის გარდა), ხოლო მეორეში დასავლეთ საქართველოს რაიონები (აჭარის და აფხაზეთის გარდა). ამ ოლქებმა სულ ორიოდე წელი იარსება და მერე გაუქმდა.

1960-იან წლებში საქართველოში რაიონების გამსხვილება განხორციელდა, თუმცა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თვალსაზრისით არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა (ნახ. 2.4).



ნახ. 2.4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1963-1964 წლებში

35, 42 _ ჯავის; 36, 43 _ ლენინგორის; 37, 44 _ ზნაურის.

წყარო: საქართველოს სსრ ატლასი, 1964.

საბჭოთა პერიოდში ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული ერთეულების ზრდას, ან პირიქით. იცვლებოდა სოფლების რაოდენობაც (ცხრ. 2.1). ასეთი ცვლილებები არა მარტო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებით შეიძლება აიხსნას, არამედ ძველი სტატისტიკური მონაცემების სიზუსტიტაც.

ცხრ. 2.1. ცხინვალის რეგიონის

ადმინისტრაციული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების დინამიკა

	ქალაქის ტიპის დასახლება	სადაბო საბჭო	სასოფლო საბჭო	სოფლების რაოდენობა
1924			15	
1930	0	0	28	554
1961	2	2	38	541
1966	1	3	36	540

1987	4	4	34	478

1989 წელს საქართველოში იყო ორი ავტონომიური რესპუბლიკა, ერთი ავტონომიური ოლქი, 69 რაიონი. აქედან ოთხი ქალაქი: ჭიათურა, ტყიბული, წყალტუბო და გაგრა საბჭოებზე დამოკიდებულ ტერიტორიებად ითვლებოდა და რაიონის სტატუსი ოფიციალურად არ ჰქონდა. ცალკე ერთეულად ითვლებოდა ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, გორი, ფოთი, ზუგდიდი და ტყვარჩელი. 4488 სოფელი (ამ სოფლებიდან 174 დაუსახლებელი იყო) გაერთიანებული იყო 942 სასოფლო საბჭოში. 1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. 1991 წელს გაუქმდა ცხინვალისა და ზნაურის რაიონები, ცხინვალის რაიონი შეუერთდა გორის რაიონს, ხოლო ზნაურის რაიონი – ქარელს. ჯავის რაიონის რამდენიმე სოფელი (240 კმ^2) კი გადაეცა საჩხერისა და ონის რაიონებს. დაბა ზნაურს ეწოდა ყორნისი.

2.3.თანამედროვე ადმინისტრაციული მოწყობა

1990-1991 წლებში მიმდინარეობდა სამხედრო შეიარაღებული დაპირისპირება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და სამხრეთ ოსეთის აო-ის ძალებს შორის. 1992 წლის 24 ივნისს საქართველომ და რუსეთმა ქ. დაგომისში მოაწერეს ხელი შეთანხმებას, რომლის ძალითაც ცხინვალის რეგიონში მყოფ რუსეთის სამხედრო შენაერთებს მიეცა „სამშვიდობო მისიის“ სტატუსი. ხელშეკრულების შედეგად შეწყდა შეიარაღებული მოქმედებები, კონფლიქტის ზონაში განთავსდა სამი (ქართული, რუსული და ოსური) სამშვიდობო ბატალიონი, ცხინვალის რეგიონი დაიყო ქართულ და ოსურ ზონებად და შეიქმნა შერეული კომისია, რომელშიც შედიოდა საქართველო, რუსეთი, სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი [სამხრეთ ოსეთის გაუქმების..., 1991].

1992 წელს ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის (მათ შორის ე.წ. სამშვიდობო ძალების) ხელშეწყობით

ოსი სეპარატისტების კონტროლს ქვეშ აღმოჩნდა რეგიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი:

- ცხინვალის რაიონის ძირითადი ნაწილი, ადმინისტრაციული ცენტრი ქ. ცხინვალი;
- ჯავის რაიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ჯავა;
- ზნაურის რაიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ზნაური.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა ახალგორის რაიონს (5 ოსური სოფლის - წინაგარის, ღდულეთის, ძუკათას, ორჭოსანის და აბრევის გარდა), ქ. ცხინვალის ჩრდილოეთით განლაგებულ დიდი ლიახვის ხეობის სოფლებს და აღმოსავლეთით განლაგებულ პატარა ლიახვის ხეობის სოფლების ძირითად ნაწილს, ასევე ზნაურის რაიონის 6 სოფელს. გარდა ამისა, საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა ჯავის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მამისონის უღელტეხილსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. საქართველოს კონსტიტუციის გარდაქმნის ფარგლებში, ცვლილებები შევიდა თვითმმართველობის ნაწილშიც - სასოფლო და საქალაქო საბჭობს ეწოდათ საკრებულოები. მათი არჩევნები ჩატარდა 1991 წლის 31 აპრილს. თუმცა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, 1992 წლის დასაწყისში, საკრებულოების უმრავლესობამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. 1994-1996 წლებში შემოღებული იქნა რაიონების 9 დიდი გაერთიანება – მხარე. მხარე არ წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს. მხარის სახელმწიფო რწმუნებულების ფუნქცია იყო, ზედამხედველობა გაეწია მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების საქმიანობისთვის. სამხარეო დაყოფა დაახლოებით ემთხვეოდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეებს.

2005 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები: გაუქმდა ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობები სოფლებში, თემებში, დაბებში და ქალაქებში. კანონით განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულის 2 სახე:

1. დასახლებათა ერთობლიობა – მუნიციპალიტეტი;
2. თვითმმართველი ქალაქი.

მუნიციპალიტეტები განისაზღვრა ადრე არსებული რაიონების შესაბამისად, ხოლო თვითმმართველი ქალაქები გახდნენ: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი. შესაბამისად, ცხინვალის, ჯავისა და სხვა რაიონები გადაკეთდა ცხინვალისა და ჯავის მუნიციპალიტეტებად.

ამრიგად, მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში და მის შემდგომ ადგილი ჰქონდა როგორც ადმინისტრაციული ერთეულების დიდ ცვლილებებს, ისე ტოპონიმების შეცვლასაც (ნახ. 2.2).

ცხრ. 2.2. ცვლილებები ადმინისტრაციულ მოწყობასა და ტოპონიმებში

წლები	**განხორციელებული ცვლილებები**
1917 წ.-მდე	▪ შედიოდა ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში
1922	▪ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის აო
1931	▪ ქ. ცხინვალს გადაერქვა სახელი და ეწოდა სტალინირი
1934	▪ სოფ. ახალგორს გადაერქვა სახელი და ეწოდა ლენინგორი; ▪ ლენინგორი გადაკეთდა დაბად
1935	▪ ახალგორის რაიონი გადაკეთდა ლენინგორის რაიონად
1936	▪ ცხინვალის რაიონს გამოეყო ოქონის რაიონი
1938	▪ ოქონის რაიონი გადაკეთდა ზნაურის რაიონად
1940	▪ ცხინვალის რაიონი; ▪ სოფ. წუნარს გადაერქვა სახელი და ეწოდა ხეთაგუროვი
1948	▪ სოფ. მონასტერს გადაერქვა სახელი და ეწოდა ლარგვისი
1951	▪ სოფ. ლესორას გადაერქვა სახელი და ეწოდა კიროვი
1960	▪ სტალინირის რაიონი გადაკეთდა ცხინვალის რაიონად
1961	▪ ქ. სტალინირს გადაერქვა სახელი და ეწოდა ცხინვალი
1962	▪ გაუქმდა ცხინვალის რაიონი, ტერიტორიის ნაწილი შეუერთდა ზნაურის რაიონს, ნაწილი კი _ ლენინგორის რაიონს
1965	▪ ცხინვალი იბრუნებს რაიონის სტატუსს და კვლავ სამხრეთ ოსეთის აო-ში შედის
1991	▪ გაუქმდა სამხრეთ ოსეთის აო;

	▪ ცხინვალის რაიონი გაუქმდა და შეუერთა გორის რაიონს; ▪ ლენინგორის რაიონი გადაკეთდა ახალგორის რაიონად; ▪ გაუქმდა ზნაურის რაიონი და შეუერთდა ქარელის მუნიციპალიტეტს
2006	▪ ცხინვალის მუნიციპალიტეტი გამოეყო გორის მუნიციპალიტეტს

წყაროები: საქართველოს სსრ ადმინისტრაციული..., 1961; 1964; 1987

2008 წლის (საქართველოსა და რუსეთს შორის) ომის შემდეგ საქართველო გავიდა დსთ-დან, დატოვა შერეული კომისია და ცხინვალის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნას ოფიციალურად უწოდა ოკუპაცია. 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად, საქართველოს ხელისუფლების ორგანოები და ქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გამოდევნილი იქნა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დასახლებული პუნქტებიდან და ოლქის ტერიტორია (მათ შორის, ახალგორის რაიონი და მამისონის უღელტეხილი) სრულად მოექცა საოკუპაციო ძალების და ოსი სეპარატისტების კონტროლის ქვეშ. ქართულმა მხარემ კონტროლი დაკარგა ცხინვალის რეგიონის 135 დასახლებულ პუნქტზე, რომელთა უმეტესობა იყო შერეული _ ქართულ-ოსური დასახლებები. აღსანიშნავია, რომ ის სოფლები, რომლებიც მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული, თითქმის სრულად არის განადგურებული. შერეული სოფლებიდან, ქართველები ძირითადად არიან გამოძევებულნი.

2008 წელს ოსი სეპარატისტებისა და რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ დაკავებული იქნა ცხინვალის რეგიონის 100-ზე მეტი სოფელი (ნახ. 2.3).

ცხრ. 2.3. 2008 წელს ოკუპირებული სოფლები

საბჭოთადროინდელი რაიონების მიხედვით	**სოფლების რაოდენობა**	**დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი**
ზნაურის	6	სოფლები: ავნევი, ნული, ალიბარი, თიღვა, შინდარა, ნაბაკევი
ცხინვალის	19	სოფლები: ქემერტი, კეხვი, ძარწემი, ქურთა, ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, მამითა, ხეითი, თამარაშენი,

		ფრისი, არგვიცი, ბერულა, ერედვი, ქსუსი, ვანათი, ჯორჯიანი, საცხენეთი, ბელოთი, დისევი
ახალგორის	101	დაბა ახალგორი (ადმ. ცენტრი) სოფლები: დოლიანი, იკოთი, მოსაბრუნი, ბაზუანი, ახალდაბა, ახალსოფელი, ახმაჯი, ბეჟანაანთკარი, გარუბანი, ერედა, ვაშლოვანი, ზემო ბოლი, მორბედაანი, ქვემო ბოლი, ყანჩავეთი, გდუ, ბოსელთა, ზემო ღრუ, ციხისოფელი, ჭანდარი, დორეთკარი, გავაზი, დოგუზაანი, ველისა, კარა, კუცხოვეთი, საბარკლეთი, ჩკუნეთი, ძანგათი, ქვემო ზახორი, არმაზი, ველურა, ზემო ზახორი, ზემო ცხილონი, ზემო წირი, ზემო წოლდა, ზემო წუბენი, იკეთი, ნადაბური, უკანწირი, ქვემო ცხილონი, ქვემო წირი, ქვემო წოლდა, ქვემო წუბენი, ქვითკირი, ქულოთი, შუა ზახორი, შუა წირი, შუა წუბენი, ჭაჭამური, გეზევრეთი, კორინთა, გუდაწვერი, ნახიდი, საძეგური პირველი, ქვემო ალევი, ქურთა, ყოჩიანი, შუა ალევი, წირქოლი, ხარკელანი, ლარგვისი, გარეუთი, დაბაკნეთი, დადიანეთი, ზოდეხი, თოხთა, მარტიანი, მახიარეთი, მუჯუხი, შველიეთი, უკანამხარი, უკანუბანი, ყველდაბა, ჩიტიანი, ცხავათი, ხარბალი, ხრამისწყალი, სალბიერი, დელკანი, ნაგომევი, ჩორჩანი, ძეგლევი, ჯვარისუბანი, ბალაანი, ელოიანი, თინიკაანი, მიდელაანი, ნავიხევი, ოხირი, პავლიანი, ქარელთკარი, ქენქაანი, ჩიგოიანი, წიფთაური, ჭორჭოხი, ხოზუეთი, გუდითა, ზემო ბაგები, ზემო ყურე, კიტრიული, მონასტერი, მსხლები, ქედიგორა, ქვემო ბაგები, ცოტაგური, კოდიჯვარი, მამულაანი, ქვემო ღრუ

საბოლოოდ, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ არის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, მდებარეობს საერთაშორისოდ აღიარებულ საქართველოს ტერიტორია-ზე. ავტონომიური ოლქის მნიშვნელოვან ნაწილს 17 წელია დე ფაქტოდ აკონტროლებს და 2008 წლის 26 აგვისტოს, ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ დე-იურედ ცნო,

თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობა არ ცნობს რეგიონის დამოუკიდებლობას და დე იურე მიიჩნევა საქართველოს რეგიონის შიდა ქართლის ნაწილად.

2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად, მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონი _ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი [ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი; მუხლი151.], რომლის თანახმადაც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ოდნავ შეიცვალა. თვითმმართველი ერთეული განისაზღვრა როგორც მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ქალაქისა და თვითმმართველი თემის სახით. შეიცვალა შესაბამისი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ფორმირების წესიც.

დღეისათვის საქართველოში 2 ავტონომიური რესპუბლიკა, 12 მხარეა. მათ შორისაა შიდა ქართლიც, რომლის შემადგენლობაშიცაა ცხინვალის რეგიონი. მის შემადგენლობაშია გორის, კასპის, ქარელის, ცხინვალის მუნიციპალიტეტები.

საქართველოს ტერიტორიულმა მოწყობამ კონსტიტუციის თანახმად, საბოლოო სახე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ უნდა მიიღოს.

2.4.მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ცვლილებები

რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ მოსახლეობის უმეტესობას ოსები შეადგენენ. აგრეთვე ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები,რუსები, სომხები, უკრაინელები და სხვა. ქართველები და ოსები უძველესი დროიდან ერთმანეთის მეზობლად სახლობდნენ. მათ შორის საზღვარი ბუნებრივ ზღუდეზე კავკასიონის ქედზე გადიოდა, მიუხედავად ამისა ამ ორ მეზობელ ხალხს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ქონდათ. ოსები ძირითადად ცხოვრობდნენ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მაგრამ მე-13-ე საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში მონღოლების შემოსევის შემდეგ მათ დაიკავეს დღევანდელი შიდა ქართლის ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი. მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის და

ქსნის სათავეები და კომპაქტურად დასახლდნენ. ქართველი და რუსი მეცნიერების ნაწილის კვლევათა შედეგები მიუთითებენ, რომ ქართლის მთიანეთში ოსების დასახლება ძირითადად XVII საუკუნეში მოხდა. თანდათანობით კომპაქტური დასახლებები გაჩნდა დვალეთში, მდინარეების ლიახვისა და ქსნის ხეობებში, თუმცა ოსების დიდი ნაწილი დისპერსულად განსახლდა მთელ საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილის ვრცელ ისტორიულ თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ არის დამადასტურებელი ცნობა იმ ფაქტისა, რომ XVIII სუკუნის I ნახევარში ოსები კომპაქტურად სახლობდნენ ცხინვალის რეგიონის მაღალმთიან ზოლში _ მდინარეების დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, მეჯუდის, ლეხურის და ქსნის ხეობათა ზემო წელში. ცხინვალის რეგიონის მთისწინა და დაბლობ ადგილებში, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებით, ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა. 1770 წლის დემოგრაფიული აღწერის თანახმად, XVIII საუკუნის II ნახევარში ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ქართველების გვერდით არსებობდა ოსების საკმაოდ დიდი კოლონია _ დაახლოებით 2860 კომლი, აქედან 2000 კომლი _ ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე და 860 კომლი _ თავად მაჩაბელთა სამფლობელოში. ამასთან, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსები ქართლ-კახეთის სამეფოს ქვეშევრდომობაში იყვნენ და იგივე სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები ჰქონდათ, რაც ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას [ოსთა საკითხი, 1996].

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 1926 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერების შედეგად მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით უდიდეს ნაწილს ოსები იკავებდნენ, შემდეგ ქართველები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები (ცხრ.2.4).

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ჩატარებული აღწერების მიხედვით 1926-2015წ მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური წარმომადგენლები ოსები და ქართველები არიან, რომლებიც მთელი მოსახლეობის 95% ს შეადგენენ. თუმცა 1926 წელთან შედარებით 2015 წელს მოსახლეობის რაოდენობა შემცირებულია გეოპოლიტიკური მდგომარეობოს ფონზე, რამაც შეცვალა რეგიონის ეთნიკური სტრუქტურა.

ცხრ.2.4.მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 1926 წელს

ეროვნება	მოსახლეობა(კაცი)	%
ოსი	60351	69.07%
ქართველი	23538	26.94%
ებრაელი	1739	1.99%
სომეხი	1374	1.57%
რუსი	157	0.18%
სხვა	216	0.25%

2015 წლის თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის აღწერების შედეგად მოსახლეობის რაოდენობაში ეთნიკური უმრავლესობა ოსია (ცხრ.2.5), ქართველი ეროვნების მოსახლეობა შემცირებულია, რაც გამოწვეულია 2008 წლის (რუსეთ-საქართველოს შორის) ომით.

ცხრ.2.5.მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 2015წელს.

ეროვნება	მოსახლეობა(კაცი)	%
ოსი	48144	90.09%
ქართველი	3966	7.42%
უკრაინელები	88	0.16%
სომეხი	378	0.71%
რუსი	610	1.14%
სხვა	252	0.48%

1998-2006 წლებში თემი საქართველოს კანონმდებლობით აღნიშნავდა თვითმმართველ ერთეულს _ მუნიციპალიტეტს, ხოლო 2006-2014 წლებში აღნიშნავდა მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებულ ტერიტორიულ ერთეულს და დღემდე ამ მნიშვნელობით გამოიყენება.

2.5.მოსახლეობის დინამიკა საყოველთაო აღწერების მიხედვით

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა 1926 წელს ჩატარდა. გაეროს რეკომენდაციაა საყოველთაო აღწერა ყოველ 10

წელიწადში ერთხელ მოხდეს, რაც მსოფლიო მოსახლეობის ტენდენციის მიმანიშნებელი იქნება.

ცხრ.1. სამხრეთ ოსეთის აო-ს მოსახლეობის განაწილება ადმინისტრაციული-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით(1 კაცი)

დასახლებული პუნქტი	**1926წ.**	**1939წ.**	**1989წ.**	**2015წ.**
სტალინირი (ცხინვალი)	5818	13810	42333	30432
ახალგორი (ლენინგორი) რაიონში	20750	22725	12073	4209
სტალინირსკი (ცხინვალი) რაიონი	32678	30693	23514	7793
ზნაურის რაიონი	12393	18782	10189	4531
ჯავის რაიონი	15656	20108	10418	6567



ცხრ.2. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა საყოველთაო აღწერების მიხედვით

1926	1939	1959	1970	1979	1989	2015
87 375	↗ 106118	↘ 96 807	↗ 99.421	↘ 97 378	↗ 99.102	↘ 53,532



1926 წლის საყოველთაო აღწერით სამხრეთ ოსეთის აო-ში სულ 540 დასახლებული პუნქთი იყო. მოსახლეობა 87375 ადამიანს შეადგენდა, აქედან 42586 მამაკაცი და 39949 ქალი იყო. აო-ს ფარგლებში ცხოვრობდა 60351 ოსი, 23538 ქართველი, 1374 სომეხი, 1739 ებრაელი 152 რუსი და 216 სხვა ეროვნების ადამიანი. ქალაქ ცხინვალში ცხოვრობდა 5810 ადამიანი.

1939 წელს სსრკ-ში ჩატარდა საყოველთაო აღწერა,რის შედეგადას სამხრეთ ოსეთის ავტონომიაში ცხოვრობდა 106118 ადამიანი. ქალაქ ცხინვალში კი 13810 ადამიანი. მოსახლეობის 69% (72266 ადამიანი) ოსი, ხოლო 27% (25725 ადამიანი) ქართველი ეროვნების ადამიანები იყვნენ. მოსახლეობის ზრდა უკავშირდება ინდუსტრიალიზა-ციის დაწყებას და სოფლის მოსახლეობის ამ კუთხით გადინებას. იზრდება რუსი მოსახლეობის რაოდენობა, რაც ეკონომიკასა და განათლების სფეროში რუსი სპეციალისტების შემოდინებას უკავშირდება. 1939 წელს 2111 რუსი უკვე ცხოვრობდა რეგიონში.



ნახ.2.5. ახალგორის მუნიციპალიტეტის დემოგრაფია (1926-1939წწ).



ნახ.2.6.ცხინვალის მუნიციპალიტეტის დემოგრაფია (1926-1939წწ).

სამწუხაროდ ჯავის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მონაცემები არ გაგვაჩნია.

1959 წელს მოსახლეობამ 96807 ადამიანი შეადგინა. ოსი 63698ადამიანი(66%), ქართველი 26584 ადამიანი(27%) რუსი 2380(2.5%)ადამიანი და სხვა. მოსახლეობის ასეთი შემცირება (თითქმის 10000ადამიანი) გამოწვეული იყო 1941-45 წლებში მეორე მსოფლიო ომით. ოსი მოსახლეობის თითქმის 50% იქნა გაწვეული ომში და მათი დიდი ნაწილი უკან არ დაბრუნებულა.

1970 წლის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მთლიანი მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური ჩანაწერები არ გამოხატავდნენ მნიშვნელოვან ცვლილებებს. მოსახლეობა 99421 ადამიანი იყო, რაც 1959 წლის მონაცემთან შედარებით უმნიშვნელოდ არის მომატებული.

1979წელის აღწერით მოსახლეობა 97378 ადამიანს შეადგენდა. ამ პერიოდში სამხრეთ ოსეთში შეინიშნებოდა ებრაელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება. ეს

გამოწვეული იყო 1970-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ს მთავრობის მიერ ისრაელიდან მოსახლეობის შემოსვლის აკრძალვასთან, რის შედეგადაც ბევრმა ქართველმა ებრაელმა დატოვა სამხრეთ ოსეთი. ამ ფაქტმა საერთო დემოგრაფიულ სურათზე მნიშვნელოვნად იმოქმედა.



ნახ.2.7.ცხინვალის მუნიციპალიტეტის დემოგრაფია(1979-1979წწ).



ნახ.2.8.ახალგორის მუნიციპალიტეტის დემოგრაფია(1970-1979წწ).

1989 წელს საბჭოთა ეპოქის ბოლო აღწერა ჩატარდა. ამ პერიოდში ოსი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხინვალში ცხოვრობდა. სულ სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდა 99102 ადამიანი. ამ პერიოდში სამხრეთ ოსეთიდან ებრაელების იმიგრაცია ისრაელში კვლავ გრძელდებოდა. ოს და ქართველ მოსახლეობასთან ერთად აო-ში ცხოვრობდა 450 უკრაინელი, 99 ბელორუსელი, 46 ბერძენი, 9 აფხაზი და სხვა ეროვნების ადამიანები.

2015 წლის სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული მთავრობის მიერ ჩატარებული აღწერას თუ მივიღებთ სარწმუნოდ, სულ 53,532 ადამიანია, მათ შორის 25,707 მამაკაცი, 27,825 ქალი. მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს ცხინვალში- 30,432 ადამიანი და ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული. სულ 330 სასოფლო დასახლებაა და იქ მოსახლეობა ხუთი ათასზე მეტია. აღწერის მონაცემი არსებობს 151 დასახლებულ პუნქტზე, რომელთაგანაც 80 სოფელი დაცარიელებულია და ძირითადად დაბომბილი და გადამწვარია.[Население_Южной_Осетии].

საბოლოოდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობა აღირიცხა 1939 წელს. მოგვიანებით მოსახლეობის ასეთი მკვეთრი ცვლილების მაპროვოცორებელი ფაქტი იყო მეორე მსოფლიო ომი, ქართველი და ოსი ერების გაუცხოება და გეოპოლიტიკური დაძაბულობა. მოსახლეობის ყველაზე მცირე რაოდენობა 2015 წელს დაფიქსირდა. (სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩატარებული აღწერის თანახმად).რაც გამოწვეული იყო 2008 წლის ომით, რის შედეგადაც უამრავი ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინათ საკუთარი საცხოვრებელი გარემო. ამ პერიოდში სამხრეთ ოსეთიდან ქართველი მოსახლეობა თითქმის მთლიანად იქნა გამოძევებული და საქართველოს 26000 დევნილი შეემატა.


ახალგორის მუნიციპალიტეტის დემოგრაფია(1926-2015 წწ)
N
ჩიგოიანი
ნავიხევი
ოხორი
ელოიანი
პავლიანი
მუჯუხი
ქარელთკარი
თინიკაანი
კარა ველისა
უკანაუბანი
საბარკლეთი
წიფთაური
ბალაანი
უკანამხარი
მეცნერი
ხიზუეთი
ჩიტიანი
ჩურთა
ჯორჯოხი
დაბაკნეთი
ჩურთა
ქველდაბა
თოხთა
ძანგათი
გავაზი
ხარბალი
ზოდეხი
ხუდალიანი
დორეთკარი
მოჩალეთი
ლარგვისი
ციხისოფელი
რორო
მამულაანი
გარუეთი
ხრამის
ყარა
ცხავათი
ბოსელთა
ქოლოთი
კოდიჯვარი
ნახიდი
ზეზეკრეთი
ზემო ღრუბდუ
ჭანდარი
იკეთი
ქვემო ღრუმონასტერი
ქვითკირი
ქურთა
ყოჩიანი
ზემო წოლდა
კორინთა
ბუდაწვერი
ზემო ხახორი
არმაზი
ნადაბური
ყანჩავეთი
წირქოლი
ბიძინანი
ჯვარისუბანი
ბაზუანი
ერედა
ცოტაგური
შუა წირი
კიტრიული
ქვემო წუბენი
ქვემო წირი
ახალგორი
ჩორჩანი
ულელტეხი
ველურა
ალბიერი
ქვემო ბაგებ
ბულითა



ნახ.2.10.ცხინვალის მუნიციპალიტეტის დემოგრაფია(1926-2015წწ).



ნახ.2.11.ცხინვალის რეგიონის დემოგრაფია (1926-2015წწ).

თავი III. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციის და „მცოცავი ოკუპაციის“ კარტოგრაფირება

3.1. კარტოგრაფიული წყაროების ანალიზი

კარტოგრაფიული წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ საკვლევი რეგიონის საზღვარი საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. ამის დასტურია მრავალი ისტორიული რუკა, რომელიც სხვადასხვა ავტორის მიერაა შედგენილი.

„საქართველოს ისტორიული რუკის“ [ჯავახიშვილი, 1923] ანალიზიდან ნათელია, რომ ისტორიული კუთხე დვალეთი საქართველოს შემადგენელი ტერიტორიული ერთეული იყო (I. ს.; 1783 წ.) და მის ჩრდილოეთ კიდეზე გადიოდა ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი (ნახ.3.1).



ნახ. 3.1. შიდა ქართლი ივანე ჯავახიშვილის

„საქართველოს ისტორიული რუკის“ [1923 წ.] მიხედვით (ფრაგმენტი)

მდ. არდონის ზემო წელში მდებარე საქართველოს ამ ისტორიული მხარის ფარგლებში ივ. ჯავახიშვილი 3 ხევს ასახელებს: უღელისხევს, კასრიხევსა და ცროგოს. რუკაზე მას დატანილი აქვს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და ეკლესია. თუმცა შემდგომ საუკუნეებში მდგომარეობა იცვლება.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოს ტერიტორია დაყოფილი იყო ორ გუბერნიად (თბილისის და ქუთაისის) და 1 ოლქად (ყარსის). თბილისის გუბერნიაში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, ქუთაისის გუბერნიაში დასავლეთ საქართველო, ხოლო ყარსის ოლქში _ მდ. ჭორიხისა და მტკვრის ზემო წელში მდებარე ტერიტორიები.



ნახ.3.2. თბილისის გუბერნია და ზაქათალას ოკრუგი (ფარგმენტი , 1886 წ)

ნათელია რომ,თბილისის გუბერნიაში შედიოდა დღევანდელი ცხინვალის რეგიონის ტერიტორია,თუმცა ის ფაქტიც აღსანიშნავია რომ ამ პერიოდში ისტორიული კუთხე დვალეთი უკვე ჩამოშორებულია თბილისის გუბერნიას და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია. გუბერნიები, თავის მხრივ, უფრო მცირე ერთეულებად მაზრებად იყოფოდა. ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონის ტერიტორია 2 ნაწილად გაჰყო, გორის და დუშეთის მაზრებად (ნახ. 3.3). ეს დაყოფა უმეტესად რუსეთის იმპერიის ინტერესების შესაბამისი იყო, რითაც დაირღვა საქართველოში მანამდე არსებული ადმინისტრაციული მოწყობა.



ნახ.3.3.ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული მოწყობა

XIX საუკუნის ბოლოსათვის

სამხეთ ოსეთის ცალკე მაზრის გამოყოფის საკითხი 1919 წელს წარადგინეს ოსთა ეროვნული საბჭოს წარმომაგენლებმა განხილვაზე. საარქივო წყაროებიდან ირკვევა რომ მათ სურდათ ერთიანი ოსეთის სახელმწიფოს შექმნა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის შეერთებით და საბოლოოდ რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას უნდა

შეერთებოდა. საარქივო მასალებში არსებულ ამ 5-ვერსიან(ნახ.3.4) რუკაზე ნათლად ჩანს ის ტერიტორია, რაც სავარაუდოდ სამხრეთ ოსეთის მაზრისთვის უნდა გამოეყოთ, ტერიტორია შედგებოდა გორის, რაჭისა და შორაპნის მაზრების იმ სოფლებისგან, რომლებიც ოსი მოსახლეობით იყო დასახლებული. ამ მოთხოვნას კომისიის წევრები, რომელშიც შედიოდნენ ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა, ანდრია ბენაშვილი, ილია ოდიშელიძე და სხვანი, წინ აღუდგნენ და სამართლიანად არ დააკმაყოფილეს მოთხოვნა.

ნახ.3.4. სამხრეთ ოსეთის მაზრის სავარაუდო საზღვრები

სამწუხაროდ მოგვიანებით საბჭოთა პერიოდში(1922წ) ეთნიკური გამიჯვნის ნიშნის მიხედვით, მოხდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მან გაცილებით დიდი ტერიტორია მოიპოვა (ნახ.3.5). ამ რუკაზე კარგად ჩანს თუ რა ტერიტორია დაემატს საბჭოთა პერიოდში. ეს იყო დღევანდელი ახალგორის მუნიციპალიტეტი მთლიანად, ცხინვალის მუნიციპალიტეტის ქართველებით დასახლებული სოფლები აგრეთვე ქარელის მუნიციპალიტეტის რამოდენიმე

სოფელი. ზუსტად ის ტერიტორია რომელსაც დღეს ოკუპირებული ეწოდება და სადაც გადის ამჟამინდელი მცოცავი საზღვარი.



ნახ.3.5. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი(1922წ)

საქართველოს ტერიტორიის მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად, რაიონებად დაყოფა 1930 წელს განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. მათი რიცხვი 60-ზე მეტი იყო და ასეთი დაყოფა მეურნეობაზე და მოსახლეობაზე მკაცრი კონტროლის განსახორციელებლად გაკეთდა. 1960-იან წლებში საქართველოში რაიონების

გამსხვილება განხორციედა, თუმცა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ადმინისტრა-ციულ-ტერიტორიული თვალსაზრისით არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა (ნახ. 3.6). ამ პერიოდში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შედგებოდა ჯავის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონებისგან.



ნახ. 3.6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1963-1964 წლებში

35, 42 _ ჯავის; 36, 43 _ ლენინგორის; 37, 44 _ ზნაურის.

წყარო: საქართველოს სსრ ატლასი, 1964.

მოგვიანებით რაიონები უფრო მცირე ტერიტორიულ ერთეულებად,სასოფლო საბჭოებად დაიყო. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 28 სასოფლო საბჭოდ დაიყო. ესეთი დაყოფა მეურნეობაზე და მოსახლეობაზე კონტროლის

განსახორციელებლად გაკეთდა და ადვილად სამართავი იყო.



ნახ.3.7. ცხინვალის რეგიონის დაყოფა სასოფლო საბჭოებად (1980 წ.)



ნახ.3.8. ცხინვალის რეგიონის თანამედროვე საზღვარი

დღეისათვის რეგიონის საზღვრის ხაზი არასტაბილურია და იცვლება „მცოცავი ოკუპაციის“ შედეგად. 2008 წლის ომის შემდეგ საოკუპაციო ძალებმა დაიკავეს ახალგორის მუნიციპალიტეტი მთლიანად, ქარელის, კასპის, გორის და საჩხერის მუნიციპალიტეტების რიგი სოფლები. დღეს ცხინვალის რეგიონში არის 330 დასახლებული პუნქტი, მათგან დაახლოებით 80 სოფელი დაცარიელებულია, ზოგიერთი კი სრულიად განადგურებულია, დაბომბილია და გადამწვარია.

3.2. კოსმოსური სურათების ანალიზის შედეგები

კოსმოსური სურათების ანალიზისათვის გამოყენებულია პროგრამა GOOGLE EARTH PRO. დაკვირვებებმა გვიჩვენა დასახლებული პუნქტების საკმაოდ დიდი ცვლილებები უკანაკსნელი წლების განმავლობაში.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ოსი სეპარატისტებისა და რუსული არმიის ერთ-ერთი პირველი სამიზნეები იყო სოფლები: ავნევი, ნული, ზემო და ქვემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ძარწემი, ქემერთი, არგვიცი, ბერულა, ერედვი, ხეითი და სხვა, რომლებიც ქართველებით იყო დასახლებული. ეს სოფლები დღეს მთლიანადაა განადგურებული, დანგრეულია და მიწასთანაა გასწორებული საცხოვრებელი სახლები, მოსახლეობა კი გამოძევებულია. ამის ნათელსაყოფად წარმოვადგინე სოფელი კეხვისა და სოფელი ქურთის 2004-2017 წლების კოსმოსური სურათებს.



ნახ.3.2.1 სოფ. კეხვი 2004წ



ნახ.3.2.2.სოფ. კეხვი 2017წ



ნახ.3.2.3.სოფ. ქურთა 2004წ



ნახ.3.2.4.სოფ. ქურთა 2017 წ

კოსმოსური სურათების შედარებამ აჩვენა, რომ ამ ადგილებში საერთოდ აღარ არსებობს ნანგრევებიც კი. იგი პირწმინდად იქნა გაწმენდილი. 2004 წლის სურათის მიხედვით კი მკაფიოდ ჩანს, რომ სოფ. კეხვში დაახლოებით 274 სახლი იდგა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით კი სოფ. კეხვში ამ დროისათვის (2002 წლის აღწერით) 1177 ადამიანი ცხოვრობდა და მოსახლეობის 96%-ს ქართველები შეადგენდნენ. ხოლო ს. ქურთაში 2004 წელს დაახლოებით 220 სახლი იყო და 2002 წლის აღწერის თანახმად 1124 ადამიანი ცხოვრობდა, მოსახლეობის 93%-ს კი ქართველები შეადგენდნენ. სამწუხაროდ, ანალოგიური სიტუაციაა დაახლოებით 20 სოფელში და ზოგიერთი მათგანის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზებია აშენებული.

ანალოგიური სიტუაცია აღმოჩნდა იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებშიც შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა. ამ სოფლებში მხოლოდ ქართველების საცხოვრებელი სახლებია დანგრეული. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადენ სოფელი ვანათის და სოფელი სვერის 2004-2017 წლების კოსმოსურ სურათებს. დაკვირვებამ აჩვენა რომ, 2004 წელს სოფ. ვანათში დაახლოებით 182 სახლი

იდგა, ხოლო 2017 წელს ეს რიცხვი 57-ს შეადგენს. 2002 წლის აღწერის თანახმად აქ 361 ადამიანი ცხოვრობადა და მოსახლეობის ეთნიკურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ (87%). სოფ. სვერში 2004 წელს დაახლოებით 56 სახლია, ხოლო 2017 წელს 16 სახლია დარჩენილი. 2002 წლის აღწერის თანახმად 116 ადამიანი ცხოვრობდა და მოსახლეობის 84%-ს ქართველები შეადგენდნენ. ანალოგიური სურათია დაახლოებით 5 სოფელში, რომელშიც ქართველების სახლები მიზანმიმართულადაა დანგრეული და მიწასთან გასწორებული.

ნახ.3.2.5.სოფ. ვანათი 2004წ

ნახ.3.2.6.სოფ. ვანათი 2017წ

ნახ.3.2.7.სოფ. სვერი 2004წ

ნახ.3.2.8.სოფ.სვერი 2017წ

სამწუხაროდ, რუსულმა არმიამ და ოსმა სეპარატისტებმა მიზანს მიაღწიეს. ცხინვალის რეგიონიდან თითქმის მთლიანად გამოაძევეს ქართული მოსახლეობა. იმის გამო, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია, არ ეძლევა მოსახლეობას საშუალება თავიანთ სოფლებში დაბრუნების. „მცოცავი ოკუპაცია“ კი რეალურ საფრთხეს ქმნის იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი სოფელი მოხვდეს საოკუპაციო ხაზს მიღმა.

3.3. „მცოცავი ოკუპაციის“ შედეგები

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ნაკლებად განიცდიდა ცვლილებებს, ვინაიდან იგი გადიოდა ბუნებრივ ზღუდეზე _ კავკასიონის ქედზე. თუმცა იყო გამონაკლისებიც.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, კავკასიის რეგიონმა განიცადა მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული ცვლილებები.

ტერმინი „ბორდერიზაცია“ მავთულხლართების, ღობეების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის მონტაჟს გულისხმობს. ეს არის პროცესი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ რუსულმა მხარემ დაიწყო და დღემდე გრძელდება.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის (სუს) ინფორმაციით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობებისა და ახალგორის რაიონის (ე.წ. წინაგარას ზონის ოსური სოფლების გარდა) სოფლებს (103 სოფელი) აკონტროლებდა. ომის შემდეგ, ყველა ეს სოფელი რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა. 2011 წლიდან, როდესაც ე.წ. ბორდერი-ზაციის პროცესი აქტიურად დაიწყო, საოკუპაციო ხაზმა სხვა სოფლებიც მოიცვა. დღეისთვის ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძეა 350 კმ-ზე მეტია. გარდა ამისა, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ჯამში დაახლოებით 52 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეებია გავლებული.

პირველი, 1 კმ-მდე მავთულხლართი გორის რაიონის სოფელ დიდ ხურვალეთში, 2011 წლის შემოდგომაზე გაევლო. შემდეგ კი, ეს პროცესი გორის რაიონის სოფელ ქვემო ნიქოზში გაგრძელდა, სადაც 3 კმ-დე სიგრძის მავთულხლართი დამონტაჟდა.

2012 წელს მავთულხლართებისა და ღობეების ინსტალაციის პროცესი გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევშიც დაიწყო, რაც 2013 წლის ივნისის თვეშიც გაგრძელდა და მისმა საერთო სიგრძემ დაახლოებით 800 მეტრი შეადგინა.

ე.წ. ბორდერიზაციამ ყველაზე მასშტაბური სახე 2013 წელს მიიღო. ამ წლის დასაწყისში ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერებისა და მავთულხლართების მეშვეობით ტერიტორიის გაყოფის პირველი მაგალითი გორის რაიონის სოფელ მერეთსა და ქსუისში დაფიქსირდა, საოკუპაციო ხაზის სიგრძემ კი დაახლოებით 4 კმ შეადგინა. შემდეგ იყო გორის რაიონის სოფელი გუგუტიაანთკარი, სადაც თებერვალში 143 მეტრამდე სიგრძის მავთულხლართები და ღობეები დაინსტალირდა. გორის

შემდეგ ჯერი ქარელის რაიონის სოფლებზე მიდგა და დვანის, თამარაშენისა და ატოცის მონაკვეთებზე ფრაგმენტულად დაახლოებით 6-8 კმ სიგრძის მავთულხლართები დაინსტალირდა. „მცოცავი ოკუპაცია“ 26 მაისს, გორის რაიონის სოფელ დიცში, 1.5 კმ-მდე სიგრძის მავთულხლართების დაინსტალირებით გაგრძელდა. 2013 წელს, მაისი-დეკემბრის მონაკვეთში, ქარელის რაიონის სოფელ კნოლევში, ავლევსა და ცერონისში დაახლოებით 3 კმ-მდე სიგრძი მავთულხლართები გაევლო. ამავე წელს ე.წ. ბორდერიზაციის ორი ფაქტი დაფიქსირდა გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში, სადაც გაზაფხულსა და დეკემბერში დაახლოებით 1.3 კმ სიგრძის მავთულხლართები დამონტაჟდა. ე.წ. საზღვრის გავლების შემთხვევები აგვისტოშიც დაფიქსირდა. ჯერ ქარელის რაიონის სოფელ დირბში, სადაც 200 მეტრის სიგრძის მავთულხლართი დაინსტალირდა, შემდეგ კი გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენში, სადაც 700 მეტრის სიგრძის ღობე გაევლო. 19 სექტემბერს, ქარელის რაიონის სოფელ დვანში დაახლოებით 3 კმ-მდე სიგრძის ღობეები დაინსტალირდა. მოგვიანებით კი აღნიშნული ღობეები გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითისა და ზემო ნიქოზის ღობეებს შეუერთდა, რომლის საერთო სიგრძემ დაახლოებით 12 კმ შეადგინა. ამავე წლის ნოემბრის თვეში გორის რაიონის სოფელი დიციდან (შეგახსენებთ, აქ პროცესი 26 მაისს 1.5 კმ-მდე სიგრძის მავთულხლართების გავლებით დაიწყო) დასავლეთის მიმართულებით, სოფელ ერგნეთამდე დაინსტალირებული ღობეების სიგრძემ დაახლოებით 5 კმ შეადგინა. ამავე თვეში, 24 ნოემბრიდან, ქარელის რაიონის სოფელ ღოღეთში ღობეების ინსტალაციის ახალი ტალღა დაიწყო.

პროცესი მომდევნო წლის 7 თებერვლიდან განახლდა და ახლადდამონტაჟებული მავთუხლართების სიგრძემ მთლიანობაში დაახლოებით 600 მეტრი შეადგინა. 2013 წელს საოკუპაციო ხაზის გავლება უკანასკნელად დეკემბრის თვეში რამდენჯერმე დაფიქსირდა. 18 დეკემბერს ორ სხვადასხვა ადგილას, ერთი მხრივ ქარელის რაიონის სოფელ კოდაში და ოკუპირებულ წნელისში დაახლოებით 2 კმ სიგრძის, მეორე მხრივ კი ქარელის რაიონის სოფელ დვანში დაახლოებით 373 მეტრი სიგრძის ღობეები დაინსტალირდა. ამავე თვეში კასპის რაინის სოფელ საკორინთლოში დაახლოებით

600 მეტრი სიგრძის ღობეები, სოფელ თვაურებსა და ოკუპირებულ ახმაჯის ტერიტო-რიებზე კი დაახლოებით 900 მეტრი სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა.

2014 წელს ბორდერიზაციის პროცესი შედარებით შენელდა. ამ წლის ივნისში გორის რაიონის სოფელ ქერესა და ოკუპირებულ სოფელ ოტრევში დაახლოებით 500 მეტრი სიგრძის მავთუხლართი გაივლო.

2015 წლის 10 ივლისს, თბილის-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის (E60) სიახლოვეს, გორის რაიონის სოფელ წითელუბანში და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაინსტალირდა. აღნიშნული ბანერი თბილისი-სენაკი-ლესელიძის მთავარ მაგისტრალთან 350 მეტრშია დამონტაჟებული. ამ შემთხვევაში, ე.წ. საზღვრის მიღმა ბაქო-სუფსას მილსადენის გარკვეული სეგმენტიც მოექცა. 2015 წელს, კერძოდ 10-12 აგვისტოს, ქარელის რაიონის სოფელ თამარაშენისა და სოფელ ცერონისის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაინსტალირდა.

2016 წლის 6 ივნისს, ქარელის რაიონის სოფელ ავნევის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილობრივი მოსახლეობის სახნავ-სათეს სავარგულებზე 2 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დამონტაჟდა.

2017 წლის 14 ივნისს, გორის რაიონის სოფელ წითელუბნისა და ხურვალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე 3 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა. ამავე თვეში, 19 ივნისს, კიდევ 2 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი კასპის რაიონის სოფელ ყარაფილას მიმდებარე ტერიტორიაზეც დამონტაჟდა. ასევე, 19 ივნისს დაინსტალირდა 3 უკანონო ბანერი გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში, სადაც ე.წ. საზღვარმა 700 მეტრით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოიწია და ოკუპირებულ ტერიტორიაზე კიდევ 10 ჰა მიწის ნაკვეთი მოექცა. 2017 წელს კიდევ ერთი შემთხვევა ივნისის ბოლოს, ისევ გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში დაფიქსირდა, სადაც 2 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა.

2018 წლის 11 ივლისს რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ქარელის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში: კნოლევში, ცერონისსა და ავლევში ე.წ. საზღვარი ხნულების გავლებით

მონიშნეს. საოკუპაციო ზოლის ამ მონაკვეთში ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ნიშნები წინა წლებშიც დაფიქსირდა, ამჯერად კი ხნულები ძველი ბანერებიდან დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით გაევლო და ადგილობრივები შიშობენ, რომ საოკუპაციო ძალები ე.წ. საზღვრის მონიშვნის შემდეგ მავთულხლართების გაბმას დაიწყებენ. საოკუპაციო ხნულების გავლება ქარელის მუნიციპალიტეტის შემდეგ, 21 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაფილაში დაფიქსირდა. ხნული ოკუპირებულ სოფელ ორჭოსანიდან სამხრეთის მიმართულებით, სოფელ ყარაფილასთან, მდინარე თოთრლას გასწვრივ გაევლო და ხნულის მიღმა ბაქო-სუფსას ნავთობსადენის აღმნიშვნელი ბანერიც მოხვდა. საბოლოოდ, დღევანდელი სამწუხარო რეალობა ასეთია: 350 კმ-ზე მეტი სიგრძის საოკუპაციო ხაზი, დაახლოებით 52 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეები, მთავარ მაგისტრალამადე დარჩენილი დაახლოებით 350 მეტრი, ე.წ. საზღვრის მიღმა მოხვედრილი ბაქო-სუფსას მილსადენი და ადგილობრივი მოსახლეობის კერძო საკუთრება. ოკუპაცია ისევ გრძელდება, რუსეთი კვლავ უხეშად ხელყოფს საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და საქართველოს სუვერენიტეტს. [წყარო. საჯარო ინფორმაციის ბაზა. ფაქტ-მეტრი].

2008 წელს ოსი სეპარატისტებისა და რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ დაკავებული იქნა ცხინვალის რეგიონის 100-ზე მეტი სოფელი.

ცხრ. 1. 2008 წელს ოკუპირებული სოფლები

საბჭოთადროინდელი რაიონების მიხედვით	სოფლების რაოდენობა	დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი
ზნაურის	6	სოფლები: ავნევი, ნული, ალიბარი, თიღვა, შინდარა, ნაბაკევი
ცხინვალის	19	სოფლები: ქემერტი, კეხვი, ძარწემი, ქურთა, ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, მამითა, ხეითი, თამარაშენი, ფრისი, არგვიცი, ბერულა, ერედვი, ქსუსი, ვანათი, ჯორჯიანი, საცხენეთი, ბელოთი, დისევი
ახალგორის	101	დაბა ახალგორი (ადმ. ცენტრი)

		სოფლები: დოლიანი, იკოთი, მოსაბრუნი, ბაზუანი, ახალდაბა, ახალსოფელი, ახმაჯი, ბეჟანაანთკარი, გარუბანი, ერედა, ვაშლოვანი, ზემო ბოლი, მორბედაანი, ქვემო ბოლი, ყანჩავეთი, გდუ, ბოსელთა, ზემო ღრუ, ციხისოფელი, ჭანდარი, დორეთკარი, გავაზი, დოგუზაანი, ველისა, კარა, კუცხოვეთი, საბარკლეთი, ჩკუნეთი, ძანგათი, ქვემო ზახორი, არმაზი, ველურა, ზემო ზახორი, ზემო ცხილონი, ზემო წირი, ზემო წოლდა, ზემო წუბენი, იკეთი, ნადაბური, უკანწირი, ქვემო ცხილონი, ქვემო წირი, ქვემო წოლდა, ქვემო წუბენი, ქვითკირი, ქულოთი, შუა ზახორი, შუა წირი, შუა წუბენი, ჭაჭამური, გეზევრეთი, კორინთა, გუდაწვერი, ნახიდი, საძეგური პირველი, ქვემო ალევი, ქურთა, ყოჩიანი, შუა ალევი, წირქოლი, ხარკელანი, ლარგვისი, გარეუთი, დაბაკნეთი, დადიანეთი, ზოდეხი, თოხთა, მარტიანი, მახიარეთი, მუჯუხი, შველიეთი, უკანამხარი, უკანუბანი, ყველდაბა, ჩიტიანი, ცხავათი, ხარბალი, ხრამისწყალი, სალბიერი, დელკანი, ნაგომევი, ჩორჩანი, ძეგლევი, ჯვარისუბანი, ბალაანი, ელოიანი, თინიკაანი, მიდელაანი, ნავიხევი, ოხირი, პავლიანი, ქარელთკარი, ქენქაანი, ჩიგოიანი, წიფთაური, ჭორჭოხი, ხოზუეთი, გუდითა, ზემო ბაგები, ზემო ყურე, კიტრიული, მონასტერი, მსხლები, ქედიგორა, ქვემო ბაგები, ცოტაგური, კოდიჯვარი, მამულაანი, ქვემო ღრუ



ნახ.3.3.1.ცხინვალის რეგიონის საზღვარის ცვლილება

აღსანიშნავია, რომ ის სოფლები, რომლებიც მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული, თითქმის სრულად არის განადგურებული. ხოლო იმ სოფლებში რომლებშიც შერეული ქართული და ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა ქართველები გამოდევნლილნი არიან.



ნახ. 3.3.2.ცხინვალის რეგიონის საზღვარი (2016წ)



ნახ.3.3.3.ცხინვალის რეგიონის საზღვარი

ის ფაქთი რომ დღევანდელი მცოცავი საზღვარი თითქმის ემთხვევა საბჭოთა პერიოდში არსებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს ტერიტორიას გვაძლევს ბრმა ოპტიმიზმის საშვალებას, რომ იმედი გვქონდეს არ გადმოცდებიან აღნიშნულ საზღვარს და დროებით მაინც შეჩერდება „მცოცავი ოკუპაცია“.

საბოლოოდ, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ არის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, მდებარეობს საერთაშორისოდ აღიარებულ საქართველოს ტერიტორია-ზე. ავტონომიური ოლქის მნიშვნელოვან ნაწილს 17 წელია დე-ფაქტოდ აკონტრო-ლებს და 2008 წლის 26 აგვისტოს, ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ დე-იურედ ცნო, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობა არ ცნობს რეგიონის დამოუკიდებლობას და იგი დე-იურე მიიჩნევა საქართველოს რეგიონის შიდა ქართლის ნაწილად.

დასკვნა

ცხინვალის რეგიონი მდებარეობს საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულის შიდა ქართლის ტერიტორიაზე. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი საუკუნეების გამავლობაში ნაკლებად განიცდიდა ცვლილებას, რადგან ბუნებრივ ზღუდეზე კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე გადიოდა. მიუხედავად ამისა, დღეს ეს საზღვარი ყველაზე არასტაბილურია და დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფება რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია უძველესი დროიდან საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. ცალკე ავტონომიად კი ეთნიკური ნიშნით გამოიყო საბჭოთა ხელისუფლების (1922 წ) დროს. მრავალი მეცნიერის ნაშრომი, კარტოგრაფიული თუ დემოგრაფიული წყაროების ანალიზი და კოსმოსური სურათები ცხადყოფს, თუ როგორ იცვლებოდა რეგიონის ტერიტორია, განსახლება, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ინფრასტრუქტურა და სხვ.

საბჭოთა პერიოდში რეგიონმა როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული, ისე დემოგრაფიული ცვლილებები განიცადა, რაც დამოკიდებული იყო მრავალ გარე-მოებაზე. კერძოდ, რეგიონი დაიყო უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად რაიონებად, რაიონები კი დაიყო სასოფლო საბჭოებად, რაც მოსახლეობასა და მეურნეობაზე კონტროლის განსახორციელებლად მოხდა. აგრეთვე დემოგრაფიული ცვლილება გამოწვეული იყო რეგიონში ინდუსტრიალიზაციის განვითარებასთან, მოსახლეობის ცხოვრების წესში ქალაქის როლის ზრდასთან, მაღალკვალიფიციური კადრების შედინებასთან და სხვა ფაქტორებთან.

დღეს რეგიონი მოქცეულია „მცოცავი ოკუპაციის“ ზონაში და აქ არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. 2008 წლის ომის შემდეგ რეგიონიდან გამოძევებული იქნა ქართველი მოსახლეობა და მათი საცხოვრებელი სახლები დანგრეული და გადამწვარია. „მცოცავი ოკუპაცია“, რომელსაც რუსეთი დღევანდელ დღემდე აგრძელებს, სავარაუდოდ დიდხანს არ გაჩერდება, ვინაიდან სწორედ ეს არის საქართველოს მიმართ გატარებული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი.

რუსეთი ცდილობს საბჭოთა პერიოდის რუკების მიხედვით ისარგებლოს და ცდილობს ცხინვალის რეგიონი მოაქციოს ყოფ. სამხრეთი ოსეთის აო-ს საზღვრებში. ის გარემოება, რომ დღეს ეს რეგიონი ოკუპირებულია, მკაფიოდ გვაჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორია ქვეყნის უსაფრთხოების და ერთიანობისათვის.

კვლევა მოიცავს ცხინვალის რეგიონის რეტროსპექტიული სურათის შექმნას კარტოგრაფიული და დემოგრაფიული წყაროების მიხედვით. რეგიონი, რომელიც მოიცავს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, არაკონტროლირებადია და 1990-იანი წლებიდან მოყოლებული სეპარატისტული ძალების მიერ გამოცხადებულია დამოუკიდებელ რესპუბლიკად, თუმცა მას არ სცნობს საერთაშორისო საზოგადოება.

კარტოგრაფიული და სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, კვლევის შედეგად დადგინდა ადმინისტრაციული მოწყობის ტრანსფორმაციები, განხორ-ციელდა სხვადასხვა პერიოდისა და მასშტაბის კარტოგრაფიული წყაროების ანალიზი, კოსმოსური სურათების მეშვეობით გამოვლინდა განსახლების არეალების ცვლილებები უკანასკნელ პერიოდში, შედგა რიგი თემატური რუკები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოგოშვილი საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVII საუკუნეები, თბ., 1969.
2. თოფჩიშვილი რ. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. თბ.: „უნივერსალი“, 2010.
3. კლიმიაშვილი ა., მასალები XV-XVIII საუკუნეები ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, კრ.: XIV-XVIII საუკუნეები რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.
4. ოსთა საკითხი. კრებული. თბილისი-გორი, 1996.
5. სამხრეთ ოსეთის გაუქმების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის კანონი. // საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, გვ 84.
6. საქართველოს სსრ ადმინისტარციულ-ტერიტორიული დაყოფა. ტფილისი, 1930.
7. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1961.
8. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1964.
9. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1987.
10. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
11. ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში. [ენციკლოპედიური ლექსიკონი]. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბ., 2017.
12. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულ და თანამედროვე თვალსაზრისით, თბ., 1919.
13. ჯანელიძე ო. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1996.
14. ჯანელიძე ო., ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჟ. „ეთნოპოლიტიკა“, 2007, #1.

15. ჯანელიძე ო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. თბ., 2018.
16. კვერენჩხილაძე რ.. სამხრეთ ოსეთი. ცხინვალი.1968
17. ნიკოლაიშვილი დ.. საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი.თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.2009.
18. თოთაძე ა. ოსები საქართველოში: მითი და რეალობა. კვლევა. კავშირი "იბერიან, 2008.
19. სონღულაშვილი ა. „სამხრეთ ოსეთი" საქართველოში?!. კვლევა. კავშირი "იბერიანა", 2009.
20. რეხვიაშვილი სპ. „მთის რაჭველ და დვალ მთიელთა ძმობა", გაზ. „რაეო", 1999.
21. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. 2008 წლი 23 ოქტომბერი.
22. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი; მუხლი 151. თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრები.

ინტერნეტწყაროები.

1.GOOGLE EARTH PRO

2. www.geostat.ge

3.https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%AD%D0%BA%D0%BE%D0%BD%D0%BE%D0%BC%D0%B8%D0%BA%D0%B0_%D0%AE%D0%B6%D0%BD%D0%BE%D0%B9_%D0%9E%D1%81%D0%B5%D1%82%D0%B8%D0%B8 Экономика_Южной_Осетии

4.https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B0%D1%81%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%AE%D0%B6%D0%BD%D0%BE%D0%B9_%D0%9E%D1%81%D0%B5%D1%82%D0%B8%D0%B8Население_Южной_Осетии

5.https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B0%D1%81%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%AE%D0%B6%D0%BD%D0%BE%D0%B9_%D0%9E%D1%81%D0%B5%D1%82%D0%B8%D0%B8 Итоги переписи Южной Осетии за 2015 год

6.https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D0%B7%D1%83%D0%B0%D1%80%D0%B8%D0%BA%D0%B0%D1%83_%E2%80%94_%D0%A6%D1%85%D0%B8%D0%BD%D0%B2%D0%B0%D0%BBГазопровод Дзуарикау-Цхинвал

7.https://iberiana.files.wordpress.com/2019/07/e183a0e1839de1839ae18390e1839ce18393-e18397e1839de183a4e183a9e18398e183a8e18395e18398e1839ae18398-e18393e18395e18390e1839ae18394e18391e18398-e18393e18390-e18393e18395e18390e1839ae18394e1.pdf?fbclid=IwAR2Vm8jEODl0sN4Z-W57xwRzM5wyiPFnnne6iUbaiyqP7HT0z8MqKI94LN4